

ფასი 15 მანეთი

№ 18 გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

# „თეატრი და ცხოვრება“

წლიურად 500 მან., ნახევარი წლით 250 მან. თითო ნომერი—15 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის № 20 ქართ. ბეჭდვითი ამხ. სტამბაში, რუსთ. № 26 ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრიდა ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს. ტელეფონი № 4—73.

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. | კვირა, მაისის 16 | გამოცემა 1920 წ.




კრიტიკოსი ხომლელი
რომანოზ სპირ. ძე ფანცხავა (იხ. წერ. ამავე № 7 გვ.)



შიო მღვიმელი—ბავშვთა საყვარელი „ძია შიო“
(უკანასკნელი სურათი)

# სახელოვნო დღიური

**გაცრუებული იმედები.** საქართველოს მწერალთა პირველ სადღესასწაულო დღეს—7 მაისს საძაგელი ამინდი დაუდგა: ბუნებამ და საღამოს თაოსნებმა თითქო ხელიხელს მისცეს—რაც შეიძლება უხეიროდ ჩავატაროთ პოეზიის ხსენებაო!..

პოეზიის დღე, ქართული უმაღლესი გრძნობის, უმშვენიერესი აზროვნების ზეიმი უნდა ყოფილიყო. აქ უნდა გამოფენილიყო ჩვენი ერისა და ხალხის ულამაზესი შემოქმედება, აღფრთოვანება, გატაცება, სინაზე სიკეკლუცე,—ბევრიც სწორედ ამას ელოდა, მაგრამ... მწერალთა კავშირის საბჭომ, ანუ მისი რწმუნებულების უკბილობამ ეს დღე გააფერმკრთალა: უფერო-უშინაარსო საღამო, უხეირო, ულამაზო გატყაპული გაზეთი... აი, მთელი ზეიმი''. ამ დღეს არა თუ ჩვენი დამსახურებული მწერლების საზეიმო გამოსვლა ვერ მოაწყეს, ახალგაზდა ცნობილმა მწერლებმაც კი ვერ გამოიჩინეს ფხა და უნარი...

ეტყობა მწერალთა კავშირის საბჭოს ფარდის უკან რაღაც ჩუმი ბუყბუყია, თორემ ეს დღე ასე უფერულად არ ჩაივლიდა. ვისურვოთ, შემდეგში მაინც გაემარჯვნოს ჭეშმარიტ პოეზიას!

— —

**უმადურობა თუ გულციობა?** მაგრამ გამარჯვებას როგორ უნდა მივაღწიოთ, ხელოვნების დამსახურებულ ქურუმთ სრულიად ყურადღებას რომ არ ვაქცევთ.

როცა ახალ მოდის პოეტები თავის წინაპართ არარად „ჰქმნიან,“ ეს გასაგებია: ეგება ამითი სურთ—ჩვენ უფრო გამოვჩნდებითო, მაგრამ უკვე მოხუცთ, განვლილ შავბნელ ხანაში ჩვენი დღევანდელ მზიან დღის გათენებისთვის მოღვაწეობის ჟამს დაბერებულთ რომ სიმშილით ვხოცავთ, ეს კი მიუტევებელი ცოდვაა, დიდი დანაშაულობა...

ამ ნომერში შეგხვდებათ რავდენიმე წერილი ასეთ მოღვაწეთა შესახებ.

ჩვენის ხელოვნების ოფიციალურ მესაჭეებს ევალებათ, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ, გამოიძიონ დამსახურებულ მოღვაწეთა ოჯახური მდგომარეობა და სიცოცხლეში მუდმივი ულუფა გაუჩინონ.

———

**აღორძინების საწინდარი** ჩვენი ერი და მისი მესვეური თაობა უფრო დიდს უნარს იჩენს შინაურ მტრებთან ბრძოლაში და გარეშე თავდამსხმელების მოგერებაში. ბოლო დროს ერთი უდიდესი გამარჯვებაც მოვიპოვეთ: მაისის 7—8 რუსეთსა და ჩვენს შორის დაიდო ზავი. ორივე მხარემ საზავო პირობებს ხელი მოაწერა. რუსეთმა იცნო ჩვენი დამოუკიდებლობა და სრულიად ხელი აიღო ჩვენს შინაურ საქმეებში ფათურზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან დამშვიდებულ ქვეყანაში უფრო მტკიცედ და მშვიდათ შევუდგებით თვითაღორძინებას:

დაე, ურწმუნო თომანი დღეიდან მაინც დარწმუნდენ: საკუთარი რწმენით აღჭურვილ საქართველოს რამდენი ძალის გამოჩენა შესძლებია და რავდენად მტკიცედ ვიწამებთ ჩვენის სამშობლოს თვითარსების იდეას, იმდენად უფრო მალე ვეღირსებით კულტურულ-ეკონომიურ-პოლიტიკურ ამაღლებასა და ხელოვნების ყოველ დარგის მშობლიურ ჭერ-ქვეშ აღორძინებას.

**სახალხო თეატრის ცენტრი.** პოლიტიკურად თავისუფალ ერს, ეკონომიურად საკუთარ ფეხზე დამდგარს ხალხს თავისი თეატრიც ღირსეულ დონეზე უნდა ქონდეს დაყენებული. ამისათვის კი საჭიროა საქართველოს **სახალხო** თეატრის მოღვაწეთა კონგრესის შექმნა. ჩვენს ჟურნალში ამის თაობაზე უკვე აღიძრა ლაპარაკი. ეს მორიგი საკითხი და ჩვენს სახალხო თეატრის მუშაკთა ვსთხოვთ, ამ დღისთვის ემზადონ. კონგრესის ადგილი და დებულებანი შემდევ გამოცხადდება.

სახალხო თეატრის მუშაკნო, დაბა-სოფლებისა და ქალაქთა ხელოვნების ჩუმნო მოღვაწენო პროვინციის სიბნელში სინათლის შემტანნო, დაირაზმენით, შეკავშირდით, რათა ჩვენი საყვარელი ხელოვნების ტაძარი უფრო მტკიცე ნიადაგზე ავაგოთ და ხალხი უკვდავების წყაროს ვაზიაროთ...

# სადღეისო ფიქრები

„ჩემო კარგო ქვეყანავ,
მომავალი შენია“.

გაზაფხულის სევდიანი ღრუბლები იფანტებიან... სევდიან ცისა კაბადონს მშვენიერების განთიადი ევლინება...

ახლოვდება ზაფხულის კეთილშობილური ბუნების თავაზიანობა და ჩვენი ქვეყანა—სამშობლო რევოლიუციისა სამეჯილისოთ ემზადება.

ვინ მოგცა, ჩემო კარგო ქვეყანავ, ეგ საამაყო ბედნიერება?..

შენი შვილები ულრან მთებში, ყინულიან ორწოხებში შენ გდარაჯობდენ იანვრის, თებერვლის ცივს ამინდებში და სჭედდენ შენს მომავალს...

ისინი შენ ჰშობე, შენს ცოცხალ მკერდზე აღიზარდენ და ისტორიას ანგარიშს აბარებდენ...

და ამ თავგანწირულ შვილთა ღვაწლი მომავალ თაობას უნდა გადასცე... უნდა იცოდეს მომავალმა მათი ტანჯვა, ჩემო კარგო ქვეყანავ!..

დღეს, როცა გუშინდელი შავბნელი ბურუსი ჰქრება, როცა ქვეყანა ხანგრძლივათ წამებული იმოსება გამარჯვებით, ახალი იმედების სხივებით, ჩემო კარგო ქვეყანავ, ბევრი შენი ღირსეული შვილი შეეწირა შენს გაცისკროვნებას..

ისინი არ სტიროდენ .. ისინი იბრძოდენ და ბრძოლაში დაიღუპნენ... მათ თავიანთი სიკვდილით შექმნეს სიცოცხლე შენი, ჩემო სამშობლოვ რევოლიუციისა...

ბევრი ძძით მოსილი დედაა, ბევრი მცირე წლოვანი ბავშვი უდედ—მამოთ სტირის, ბევრი მხედარი გულგანგმირული უგზო-—უკვლოდ დაკარგულია, მხოლოდ ჩემო ქვეყანავ, აქ არის დიდება შენი გამარჯვებისა...

მე მინახვს, ჩემო კარგო ქვეყანავ, მათი გატაცება, მათი თავგანწირულება, მათი ტანჯვა და სიმშილი...

იმათ დაივიწყეს პირადი ამოება, პირადი კეთილდღეობა და ყველაფერი თავის სამშობლოს შესწირეს: მათ ის მოგიძღვნეს, რასაც ველარ მივსცემთ- თავიანთი სიცოცხლე!.

ეს ძეგლია ჩვენი უკვდავების, ჩვენი აღდგომის, ჩვენი ქვეყნის...

ჩემი ფიქრები, სამშობლოვ ჩემო, მე მტრიალებს იმ ძვირფასს მებრძოლთა დიად საქმეს და მათი ღვაწლი შენს მშობლიერ გულში მარხია და შენ უნდა მოუარო, შენ უნდა სცე პატივი და დიდება...

მიდის გაზაფხული...

ზაფხულის ნათელი დღეები გულს ახარებს და ეგ სიხარული თავდებია ნაზი ქმნილების—ქვეყნის გადარჩენასა, ჩვენი სამშობლოს მირონცხებისა...

მისი გზა ნარ-ეკლით იყო დახლართული. საშინელ წამების დროს იშვა, მთიური ღიმით, ცეცხლით და სისხლით და დღეს მას შეხარის ყოველი ამაყი შვილი საქართველოსი ..

მიდის ბუნდოვანი დღეები... ჰქრება სიბნელე... დგება განთიადი—ჟამი სიყვარულისა და. შენ, სამშობლოვ. გაიხარე და მოიგონე შენი შვილები...

ისინი იბრძოდენ, იბრძვიან... გაიმარჯვეს და უკეთეს გამარჯვებისაკენ მიდიან და მათი სავანე, მათი სამშობლო მათ შეხარის...

ვინ იცის!.. მაგრამ ჩვენ ვხარობთ და გაიხარეთ თქვენც სამშობლოს მთებო, ნაზო ველებო, მღუღუნე მდინარეებო, რადგანც თქვენი ხავერდოვანი სილამაზე დღესასწაულობს..

**ა. ჟუჟისპირელი**

# მსახიობი ანეტა ქიქოძე



ჩემს წარსულში დგას ერთი მკვეთრი მოგონება.

სიყვარულის ვნებიან სიხარბით ვესწრებოდით მოწაფეები ქართულ წარმოდგენებს.

ეს იყო იმერეთის სიცოცხლე—ქუთაისში. გიმნაზიის დისციპლინის ველური ხასიათი ვერ ითმენდა ჩვენს სურვილებს. „ნებართვის“ მიღება—ეს იყო კვირეული წამება.

გიმნაზიის „დიდ უფლებიან“ მოხელეებს დამხმარეთ ჰყავდა თეატრის შესავალთან ადმინისტრაციის უხეში ძალა.

მაგრამ თამამი სიყვარული თამამი იყო ფარულ საშუალებათა აღმოჩენაში.

მახსოვს: ქალაქის თეატრში მიდიოდა თარგმნილი დრამა: „აღსდგა მკვდრეთით“. ეს იყო ანეტა ქიქოძის დებიუტი, მისი პირველი გამოცხადება ქუთაისის სცენაზე.

აღგვიკრძალეს დასწრება.

გადაცმულნი მოვთავსდით ქანდარის ბნელში. მიდის პიესა და მსახიობი ქალი გვიტაცებს. მართალია:—პირველი მომენტები ჩვეულებრივი ხასიათისაა. შესრულებაში სუსტობს თამამი მეტყველება. რაღაც იდუმალი მოკრძალება სჩანს, მასთან მცირე უბერხულობის ნასახიც მაგრამ:—ვითარდება პიესა და იზრდება მსახიობის სიამაყე.

ჩვენს წინ დგას ადამიანი—მკვეთრად ჩამოქნილი სხეულით, რომელიც პასუხს მისცემს ყოველი მდგომარეობის მოთხოვნას.

ჩვენ გვესმის შიშნარევი ჯანმთელი ხმა და სიტყვები დაწმენდილ ინტონაციაში.

ჩვენ ვხედავთ თვალებს, რომლების სიღრმეში ჩაფლულია რაღაც ავადმყოფური მეტყველება, რომლებიც უცნაურის გრძნებით იტყვიან სულის წამებაზე იდუმალ განცდებს.

და მოგვაგონდა ეკრანი. ან. ქიქოძე უეჭველი დიდებითი ძალა იქნება ეკრანისათვის. და შეგვიყვარდა ჩვენ ეს ახალი თაობის ცოცხალი ძალა.

ახალგაზდური ცოცხალი აზრი ადასტურებდა ან. ქიქოძის უტყუარ შემოქმედებითი ნიჭს.

* *

მას შემდეგ გავიდა ექვსი წელიწადი. მე ის სცენაზე არ მინახავს ახალგაზდური აღფრთოვანებით შექმნილი რწმენის გამართლება მომენატრა. ქართულ კლუბმა მომცა შემთხვევა, მიდიოდა პიესა „ზღვასთან“. ხარბი ინტერესის საგანი—ან. ქიქოძის ხილვა წელთა სიშორის შემდეგ.

მთელი ჩემი ყურადღება მიმართული იყო იქითკენ. თუ რა ღირსებათა შემატებას ვიხილავდი ან. ქიქოძის პიროვნებაში. მაგრამ სალი კმაყოფილებით ვერ დავტოვე დარბაზი.

წარსულში იმედიანი გამოსვლით ჩასახული რწმენის სიკეთე ცივი უკმაყოფილებით შეირყა. სათუთად დახლოვება როლთან, რომლითაც პირველად დახასიათდა ან. ქიქოძე, ვეღარ ვნახეთ. ჩემს წინ იდგა მხოლოდ სახე, რომელშიაც სარკესავით ოდნავ კრთოდა უფერო იერი ავადმყოფი სხეულის.

და ვიფიქრე—ნუ თუ ექვსი წლის სვლაში მსახიობი იდგა გარეშე ყოველი სკოლისა. ნუ თუ მხოლოდ მოდუნება იყო და არა ბეჯითი შრომა?!..

ვღებულობ მართალ მიზეზად—ქართული კლუბის სცენა ჩრდილავს ყოველ ხელოვანს. როდესაც იქ პიესა იდგმება—იწირება სასიკვდილო განაჩენი ავტორის, რეჟისორისა და მსახიობისათვის.

მაგრამ თვით პიროვნების, როლის განსახიერების პროცესში იყო იმდენი სიცივე, უფერობა, რომ თითქმის ვერ ვპოულობდი შესარიგებელს წარსულისა აწმყოსთან.

ეს იყო ერთი წარმოდგენის შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენ გვინდა იმავე მშვენიერი წარსულის მოგონებით გაგვეფანტოთ.

ყველა ზემო აღნიშნულ ღირსებებით აღჭურვილ ან. ქიქოძე სცენით მანუგეშებლად. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ ყოველ მის ახალ გამოსვლებს და ვიქნებით მოლოდინში დასრულებული გამარჯვებისა.

**მ. ღვამიჩავა**

# შემოდგომის ჰანგები

უსიცოცხლო ფოთლები ულორტებს უხმოდ სწყდებიან,
ბედისგან განწირულნი მიწას ფეინებიან,
ქარი გააფთრებული მიაქროლებს და... მარხავს...
რაც დაინთქა, რაც მოკვდა კვლავ სიცოცხლეს ვერ ნახავს...

და ყვითელი ფოთლები ხევში დამარხულები,
სტირიან თვის სიცოცხლეს უდროოდ დაკარგულები...
სულში ჰქრება იმედის კოშკი ტურფად ნაგები,
ოჰ, რა გულის მკვლელია შემოდგომის ჰანგები!..

— —

**ბ. პელაშვილი**

# დავიწყებული მსახიობი



**ზაალ მაჩაბელი** (მჯდომარე) **და ვასო აბაშიძე** (წამოწოლი)
(გადაღებულია 1879 წ.)

ჩემს წინაშე ძევს ძველი საარქეოლოგიო გრუპპა ქართული დრამატიული ტრუპპისა, რაც მშვენიერ თაიგულივით არის აწყობილი ჩვენი დაუფასებელი თეატრის მოღვაწეთა სახეებით, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ჩვენის ხელოვნების ტაძარს—ქართული თეატრის აღორძინებას. ამათ შორის ავერ ქართულ კაბა-ახალუხში ცოცხლათ და ძალღონით სავსე მსახიობი ზაალ მაჩაბელიც გამოიყურება.

ზალიკო მაჩაბელი ერთი თვალსაჩინო ამხანაგი-მსახიობი იყო იმ თავის თანამშრომელთა, რომელთ ხელოვნურად თამაშს აღტაცებაში მოუყვანია ჯერ კიდევ თეატრში ახლად მიჩვეული საზოგადოება თეატრის აღორძინების განთიადზე. მე არ შევეხები მის საყვარელ როლების ხელოვნურ შესრულებას, იგი სხვებმა დააფასონ. მე მხოლოდ მოკლეთ მოვიხსენიებ ზალიკო მაჩაბელის მოღვაწეობის იმ ხანას, როცა თბილისიდან თავის საყვარელ სოფელ თამარაშენში გადასახლდა დიდებულად მოხარატებულ აივნიან სახლში და ცოლშვილიანობას ძალიან გვიან მოეკიდა.

არტისტიულ ხელოვნებას ზალიკო არც სოფელში ეშვებოდა: უმისოდ დაბებსადა სოფლებში, გინდა ქალაქებშიაც, არც ერთი წარმოდგენა არა ხერხდებოდა ადგილობრივ სცენის მოყვარენი იქნებოდნენ, თუ თბილისიდამ მოსული არტისტები სოფლად, უზალიკოთ ძნელად სდგამდნენ წარმოდგენებს. ამ მადლიან ხელოვან კაცს ყოველთვის თავისებური ცოცხალი განსახიერება შეჰქონდა იმ გმირისა, ვის როლშიაც გამოდიოდა.

საზოგადო ცხოვრებაში ზალიკო თვალსაჩინო პირი იყო. ლხინი თუ ჭირი სოფლის ხალხისა დიდი კაცისა იყო ის თუ ბეჩავი გლეხისა, უზალიკოთ არ იქნებოდა. ლხინში უნდა ელხინა ხალხი, ჭირში აეტირებინა და საღვთო ვედრებაებში ხალხის გრძნობები ზეცამდის აეტარებინა. ზალიკო ყველგან თამადა იყო: მხიარული, სიტყვების მგრძნობიერად წარმომთქმელი, მოკლეთ, ყოველი სადღეგრძელებელი პირის შესხმა-მკობის მთქმელი, რაშიც ჩაურთავდა მის ავსაც და კარგსაც და მით ამხილებდა მის ავკარგანობას. ამიტომ ზალიკოს ბევრი მოძულეც ჰყავდა ავის მხილებისთვის და უმრავლესი კი მოყვარეც. მისი გესლიანი ირონია მანც შეფერებული იყო ხალხისაგან და საერთოთ უყვარდათ ზალიკო მაჩაბელი. იგი მხიარული მომღერალიც იყო.

მოძრაობის წლებში ზალიკო გორში ცხოვრობდა გაჭიოვებით, თავის ცოლშვილით. გორელი საზოგადოება პატივისცემით ეკიდებოდა მას და წარმოდგენებს ამართვინებდა. თავისუფალ დროს მტკვარზე ბადით ნადირობდა ხან კი თოფით გორის ჭალებში და ცოლშვილისთვის ნანადირევი მოჰქონდა საზრდოთ, პირველყოფილ ადამიანივით.

ამ რევოლიუციის ხანაში ზალიკო მეტად დიდ გაჭირვებაში ჩავარდა, ველარც გორში იცხოვრა, ჩამოვიდა თბილისს, აქ ცოლი მოუკვდა. ქალიშვილიც ვერ დააბინავა კაი კაცის ხელში, და მისი შენახვაც ამის სიღარებეს დააწვა ბავშვითა, და ახლა ამ ჩვენს სატრფიალო თავისუფალ საქართველოს ცისკარზე, მოხუც ზალიკო მაჩაბელს შეხვდებით ცხინვალის გზაზე მიმავალს და მომავალს. თვის ნახევრად დანგრეულ, ოდესღაც დიდებულ სასახლიდგან, რომლის ყავრით დახურულ სახურავს თავისუფლად აფრიალებს ქარი, მიწის ძვრისაგან შერხეულ კედლებში საბერვლებივით უბერავს ოთახების ცარიელა თაღჩებში. დიახ, დღეს ამ სახლიდგან გამოსულს, ოდესღაც ამაყს და წელში გაშლილ მსახიობ ზალიკო მაჩაელს დაინახავთ თეთრ წვერ ულვაშა ცხრად წელში მოკაკულ დავიწყებულ ზალიკო მაჩბელს, სამოცდა თხუთმეტ წელიწადს მიხწეულს, რომელსაც აღარ გააჩნია არც საცვალი, არც ჩოხა-ახალუხი, არც ფეხსაცმელი და ქუდი, აღარც მამულ—დედული და დადის მეზობელ გლეხებში, ნათელ მირონში. კაი მეზობლობა ვისთანაც ჰქონდა, და ლუკმა პურს ეძებს. როცა მოკვდება ამ გაჭირვებისაგან, ალბათ მაშინ ძვირფას გვირგვინებით მიაბარებენ მიწას—ესეც კაი ნუგეშია!!!

ასეთი ბედი ეწვევა ხოლმე ჩვენში სახალხო მოღვაწეს.

მოიგონეთ, ამხანაგებო, მოხუცი, გასაწყლებული ზალიკო მის მოხუცობის დასასრულზე.

ვისაც სურს დაეხმაროს დავიწყებულ მოღვაწე-მსახიობს, მიმართოს: ცხინვალი, ს. თამარაშენი. ზაალ მაჩაბელს.

ვთოხვთ სხვა ჟურნალ-გაზეთებს გადაბეჭდონ ეს ამბავი.

**მეზობელი**

# მფრინავ რაშებით

(ძღვ. იასამანს)

ვეღარ შემაკრთობს მოჩვენების მკრთალი ლანდები,
ჩემს გიჟულ ტოლკას გველთა სისინი ვერ ჩააყურებს...
მტარვალთა გროვას შურის გებით მოველანდები,
მფრინავ რაშებით ჩამოვივლი ქალაქის ქუჩებს...

ნიავის ფრთებზე ჰიმნს დავუკრავ წითელ ალამით,
მსოფლიოს ვეცნობ გამარჯვების ტკბილ საგალობელს...
და განახლების დიად წუთზე ძმური სალამით
მე გადავკოცნი ტანჯვის შვილებს ცრემლ-შეუშრობელს...

**პრ. ოდიშელი**

# კუბოსთან...

უკუნეთისათვის ჩამოგიხევია შავი, როგორც გლოვის ზარი, მანდილი და შენი ზმანებასავით სასურველი და ბანგისავით დამათრობელი გიჟი ტანი შეგიხვევია ულამაზოდ...

მწუხარების სილამაზე შეგიყვარებია უნებლიედ და მისი მთრთოლვარე სუნთქვა ჩაჰკონებია შენ სახის სიამაყეს...

შავი თმა ნაკადულად ჩამოგიშლია ათლილ კისერზე და ვით შეყვარებულნი გადახლართულან ბროლი თითები...

ასეთი მგლოვიარე სდგეხარ საფლავის კართან, სადაც დროის ჭირისუფლებს მიუჩანიათ ცის-ფერი კუბო დამჭკნარ იაკინთებით შემკული...

შიგ ასვენია შენი ახალგაზრდობა, შენი სილამაზე... შენ მას უნუგეშოდ დასცქერი გაშტერებულ თვალებით და ვერ გიცვნია სასომიხდილს... უნდობელ სიკვდილს გამოუტაცნია ხელიდან შენი ერთად ერთი ნუგეში, ერთად ერთი სიამაყე და.. გადაუცია მარადისობისათვის...

ეხლა შენ ივლი ქვეყნად როგორც უფრთო ფრინველი, როგორც განდევნილი, როგორც სიკვდილის აჩრდილი, რადგან შენში აღარ არის სული, შენში აღარ არის შენგან ტკბილი სიზმარივით გაპარული ახალგაზდობა...

**არჩილ მაჭავარიანი**

# შეხვედრა

ბოლიშევიკებისაგან ბაქოს დაკავება და საერთო მდგომარეობის ამბავი რომ გავიგე, ერთობ კარგ გუნებაზე დავდექი.

ღილინ--ღილინით გამოვედი ჩემის ოთახიდან და ოლღას ქუჩას დავადექი.

გზაში ნაცნობი „ნეუდაჩნიკ“-სპეკულიანტი შემომხვდა.

—გამარჯვებბა შენი კაცო!

—გაგიმარჯოს.

—საით მიდიხარ?.

—აგერ ცოტა კომბინაცია მაქვს, თუ გამიმართლდა, სერიოზული კილოთ ვუთხარი.

—შენც დაიწყე?

—დიდი ხანია.

—ყოჩაღ. ეს კარგი ამბავი მითხარი. მე არ მეგონა, თუ შენ კომბინატორი იყავი. მართლა კაცო, კომბინაციაზე გამახსენდა.—დაიწყო ჩემმა ნაცნობმა: დიდი ჭკვიანი კაცია ის ჩვენი ნოე ჟორდანია. ამას წინეთ ერთ—ერთ თავის მოხსენებაში, სხვათა შორის, სთქვა: პოლიტიკაში ორი კომბინაცია გვქონდაო და ორივ გაგვიმართლდაო. ეხლა მე ვიფიქრე: კაცო, ამ კაცს თუ, ორ კომბინაციაში ორივე გაუმართლდა, მე რაღა ღმერთი გამიწყრა, სამოცდაათი კომბინაცია მქონდა, შენ წარმოიდგინე, ერთიც ვერ გამიმართლდა. სიმართლე უნდა გითხრა: ჟორდანია რომ სპეკულიანტი იყოს, დღეს ის მილიარდელი იქნება. მედა ჩემმა ღმერთმა.

—მართალს ამბობ!—დავეთანხმე: ჟორდანია რო სპეკულიანტი ყოფილიყო და შენ მის ადგილას, მეტი არაფერი უნდოდა საქართველოს! ვაჭრობა-მრეწველობა ჩვენში ერთობ ჩქარა აყვავდებოდა.

—შენ სულ ხუმრობ, გამაწყვეტინა ჩემმა ნაცნობმა: შენში ხეირი არ არის. მშვიდობით, შვიდობით; წამილაპარაკა და გამშორდა.

**მალალ.-მალალი**

# „მოგზაური დასი“

ბევრია, ძლიერ ბევრი ისეთი საშუალება, რომელიც სხვაგან შეიძლება სასაოგებლოდ და განათლების სახსრადაც იყოს აღსაოებული და აღიარებული, მაგრამ ჩვენში თუ გადმოვნერგთ, სიავის მეტს ვერას დაგვაყრის!..ამისთვის-კი თავისთავად ცხადია, თუ რაოდენი დაკვირვება, აწონ-დაწონვაა საჭირო, რომ სასიკეთოს და სასარგებლოს მაგიერ უკუღმართს არ შეუწყოთ ხელი!...

თეატრზე მოგახსენებთ!..

თუ ძველად საბერძნეთში მდიდარს და რითიმე თვალსაჩინო პიროვნებას ხალხის პატივიცემის და სიყვარულის დამსახურება სურდა მოეპოებია, უთუოდ თეატრისათვის უნდა ემსახურაო!...

ასე გვიამბობს საბერძნეთის ისტორია!...

ჩვენშიც საბედნიეროთ დღეს მრავლად მოიპოებიან თეატრის გარშემო მომუშავენი, მაგრამ ნამდვილ საქმის სიყვარულით აღგზნებულთ-კი ჩვენ ნაკლებათ ვხედავთ!.

ბევრია დღეს ჩვენში ისეთები, რომლებიც თეატრის გარშემო მუშაობენ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ თავიანთი პირადი ცხოვრება გაიუმჯობესონ!

ეს ითქმის მომეტებულად დღევანდელ ჩვენს „ანტრეპრენიორებზე“. ვინ გინდათ დღეს ანტრეპრენიორობას არ ეპოტინებოდეს: მსახიობი, პოეტი, მომღერალი, კომისარი, მეთარე, მეჭიანურე და მრავალი სხვ.

ვინ არ გინდათ ადგენს დასს—და მიდის სამოგზაუროდ ამერ—იმერეთის დ-ქ-ში წარმოდგენების გასამართავად და აფიშ. შესაფერისად არის შედგენილი: „დამსახურებულ მსახიობთა მონაწილეობით“, „საუკეთესო ანსამბლი“, „საუკეთესო დეკორაციები“, „პარიკმახერი“ და სხ.

ამ ზაფხულს, ვინ იცის, რამდენი „დასი შესდგება?—მოსალოდნელია სულ ცოტა ხუთი—ექვსი მაინც!.. ამას ჩვენის აზრით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მსახიობთა კავშირის მხრით, რომელსაც საკმაოდ აქვს მომაგრებული ფეხი და გავლენაც.

ყველა გამვლელ-გამომვლელს არ უნდა ჰქონდეს „დასის“ შედგენის—უფლება და პროვინციაში წარმოდგენების მართვის ნება, თორემ, ეს მიუ...ელი —პროვინციაც ერთ მშვენიერ დღეს უხეირო წარმოდ...ენების მიზეზით ზურგს აქცევს თეატრს, შეიძულებს და მერე ძნელი იქნება მისი მობრუნება და რწმუნება!..

ამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიგონოთ ის მოვლენა, რომ ამ 5-10-ოდე წლის წინად თქვენ იშვიათად ნახავდით პროვინციაში ისეთ ქალაქს თუ დაბას, სადაც სათეატრო დარბაზი ყოფილიყო და ხალხიც ბლომად დასწრებოდეს წარმოდგენებს, როგორც ეს დღეს ხდება. ამას კი დიდი გულისყურით უნდა მოვეპყრათ ყველა ჩვენ და განსაკუთრებით მსახიობთა კავშირმა უნდა მიიღოს ზომები, რომ მის კანტროლის ქვეშ იყოს მოგზაური დასის შედგენა.

მან უნდა იცოდეს, თუ ვისი მეთაურობით დგება დასი, ვინ არიან დასში, როგორია რეპერტუარი და სხვ. მათ პროვინციის მოქალაქეთ მიეცემათ საშუალება შეაფერი წარმოდგენები ნახონ და უფრო შეიყვარონ სამშობლო ხელოვნება —ჩვენი თეატრი!.. ვ—ე

# დარო რჩეულოვი



ვის არ გაეგონები ძველი მსახიობქალი დარო რჩეულოვი?

ვის არ უნახავს დაროს „ლეკის ქალი“, „ხანუმა“, „ფროშარი“, „კინტო“ და სხვ.

დარო რჩეულოვი 15 წელიწადი ემსახურა ქართულ თეატრს, ხოლო ოცი წელიწადი სახალხო სცენას.

35 წელიწადი ქართულ სცენაზე მუშაობა! ეს ხომ კატორღაზე უარესია.

მერე დააფასა ქართველმა საზოგადოებამ დაროს შრომა? დღეს ის ქუჩა-ქუჩა დადის და ყველას შესტირის თავის გაჭირვებას.

ნუ თუ მანამდე გვინდა ჩვენ ადამიანი, სანამ შრომა შეუძლია, გვემსახურება და შემდეგ, როცა მოხუცდება, ქუჩაში გადავაგდოთ?

სად არის მთავრობა, სად არის საზოგადოება, რომლის კომპეტენციაში შედის ასეთების პატრონობა? ნუ თუ აქაც პროტექციაა საჭირო!

კმარა, ბატონებო, ბიძაშვილობა! ეს ნიკოლოზის დროის სენია, დროა მოვიშოროთ.

18 მაისს მუშათა ცენტრალურ კლუბში ერთი ჯგუფი დაროს სასარგებლოდ მართავს წარმოდგენას. იმედია, ხალხი გამოეხმაურება ამ მოკლე წერილს და ვისიც ჯერ არს, გაიღებს წვლილს მის სასარგებლოთ.

დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისია ვალდებულია დაუნიშნოს მას სდიპენდია. **შალვა გომართელი**

# სტუდენტი სერგო თვარაძე.

მაისის, 11 ბრძოლის ველზედ ბარბაროს თათარ ტყვიამ გაუგმირა გული ჩვენს საყვარელ ამხანაგს სერგო თვარაძეს. განსვენებულმა დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, შემდეგ სწავლობდა სახ. უნივერსიტეტში. ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს, იმ შავბნელ ნიკოლოზის დღეებში, სხვა მოწაფეებთან ერთად დაუშრეტელი ენერგიით ეწეოდა შრომას ამ საუკუნოობით ნანატრ თავისუფლებისათვის. დღეს დავკარგეთ ეს ენერგიით სავსე ნიჭიერი ახალგაზრდა, მერე როგორ დროს, როდესაც მტკიცდება და საფუძველი ეყრება ჩვენს სახელმწიფოს. როდესაც ერთი ასად გვეწვრება ასეთი ჩუმი მუშაკები. მახსოვს ძმიკო, როგორი გასკეცებული ენერგიით შრომობდი რევოლიუციის პირველ ხანებში, როგორი სისწორით უმარტავდი მუშა ხალხს სამშობლოს თავისუფლების მნიშვნელობას. შენმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. შენ მოესწარი იმ დროს, როდესაც შენი საყვარელი სამშობლოს შვილები თავგამოდებით იცავდენ სამშობლოს და შენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ამ უკანასკნელს დროს როდესაც ჩვენს ქვეყანას მარაბრთესება შემოესია, შენ პირველმა აიღე თოფი ხელში და გვიჩვენე, თუ როგორ უნდა სამშობლოსა და თავისუფლების დაცვა, მაგრამ ამ მეორე გამარჯვებას ვერ მოესწარი. კულტურის შემაფეხებელთა თათრის ტყვიამ გაგმირა შენი სპეტაკი გული და სამარადისოდ მოგგლიჯა საყვარელ მშობლებს და მეგობრებს. მიდიხარ ძმიკო. შენ აღარ დაბრუნდები, მიდიხარ და თან მიგყვება წრფელი ზრახვანი თვის სამშობლოს შვილთა. უკვდავი იქნება სახელი შენი დაუვიწყარო მეგობარო.*)

**ლადო გავაშელი**

*) შემდეგ ნუმერში გამოვა ს. თვარაძის სურათი.

რედაქცია.

# ხმა ზუგდიდიდან სახალხო თეატრის ავ-კარგზე

სახალხო თეატრის გავრცელებას და მის საკულტურო მოვლენად გადაქცევას საქართველოში რომ ფართე ხასიათი აქვს, ჭეშმარიტებაა. აქ თეატრის სიყვარულსა და მისი აღორძინების სურვილზე ლაპარაკი ზედმეტია; ერთსა და იმავე დროს ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყოველ კუთხეში, თითქოს შეთქმულებააო, ერთბაშათ აღიძრა სურვილი და ღრმა სიყვარულ სათეატრო ხელოვნების გავრცელებისა.

საერთოდ თეატრის მნიშვნელობაზე და მის ავ-კარგზე აქ არაფერს ვიტყვი, რადგანაც ეს ყველასთვის გასაგებათ ჩამოყალიბებულია ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს მე-15 №-ში მე-3 გვ., პატივცემული „ჭიათურელი მოკეთის“ მიერ როგორც მე, ისე ჩემი თანამოაზრე ამხანაგები, დიდი აღფრთოვანებით შეხვდით ამ ფრიად ყურსაღებ საქმისადმი მოწოდებას.

საერთოდ ჩვენი მხარე, ყოველგვარ კულტურულ ცენტრს ჩამოშორებული, ყოველმხრივ ჩამორჩენილი და, თითქოს, მზრუნველობასაც მოკლებული, ყოველ ღონეს ხმარობდა და ხმარობს კიდეც ცოტათი მაინც გამოფხიზლების გზას დაადგეს. ამ კუთხეში მყოფი სცენის მოყვარენი დიდი ენერგიით ეკიდებიან სათეატრო საქმეს, რადგანაც თეატრის საშუალებით შეიძლება კულტურის შემოღება-გავრცელება. ჩვენი იმედი კულტურის შემადგენლობა-გავრცელებაში მხოლოდ და მხოლოდ სახალხო თეატრისა და მის საკეთილდღეო მზრუნველ მუშაკებზეა დამყარებული. ამ რწმენით აღჭურვილი ყოველ დღე მოუსვენრად ველოდებოდით, თუ როდის იქნებოდა მოწინავე ამხანაგების გამოძახილი სახალხო თეატრის მზრუნველობაზე მისს სასურველ სიმაღლემდე აყვანაზე. და აჰა, მოგვესმა ეს სასურველი ხმაც. ხმა სახალხო თეატრის გარშემო შეჯგუფებისა და მისი მომავალი ბედისათვის მზრუნველობისა. „თეატრი და ხელოვნება, მისი სიფაქიზე, მისი სასურველად აღზრდა-აყვავება“. აი ჩვენი აზრი, ჩვენი ლოზუნგი და გამოძახილი. თუ სახალხო თეატრი თავის სიმაღლეზე დასდგა, თუ მის გარშემო მყოფი სათანადოთ გაფაქიზებული ერთგულად ემსახურება თეატრს, ჩვენი კუთხე-მიდა-

მო სასწრაფოდ აყვავდება, კულტურის სხივები მოეფინება და ერი სულიერად ამაღლდება.

თეატრი ტაძარია სიწმიდისა, თეატრი—სიმბოლოა ჩვენი რწმენისა, ხელოვნება კი მისი სიფაქიზე, მისი შნოება და სილამაზე.

სცენის მოყვარე, ამ რწმენით აღჭურვილი, არის მისი მაღმერთებელი ქურუმი, მადიდებელი რწმენისა და ვინც ამ შეხედულებით მას არ ემსახურება, ის მტერია თეატრისა და კულტურის. ჩვენ, თუ დღემდე ვერ შევძელით თეატრისადმი შესაფერი სამსახური, ამას თავისი საპატიო მიზეზები ჰქონდა. დღეიდან კი შესაფერისი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც თეატრი თავისუფალია და არავითარ ჩვეულებრივ დაბრკოლებებს ამიერიდან ადგილი არ ექნება. დღემდე თუ ძველი მთავრობა მას სდევნიდა, სამაგიეროდ დღეიდან ახალი მთავრობა სათანადო დახმარებას გაუწევს და თუ ამასთან ჩვენი შეთანხმებულ-შეზავებული შრომა-ენერგია დავხარჯეთ, სახალხო თეატრის აყვავება ახლოა და მისი გემრიელ ნაყოფსაც მალე ვიგემებთ. მაგრამ აშკარაა, მარტო ჩვენი სუსტი ენერგიით მიზანს ვერ მივაღწევთ, თუ მას ხელმძღვანელი ორგანიზაცია არ ეყოლა. ორგანიზაციის შესაქმნელად კი საჭიროა ჩვენი შეერთება-შეთანხმება და ერთი ცენტრის გარშემო შემოკრება.

როდესაც ცენტრს ვგულისხმობთ ჩვენ უნდა ვიყოთ ერთსულოვანი, ერთი მიზნისკენ მიმავალი—ერთი მიმართულების, მოთაყვანე თეატრისა და ხელოვნების, აი რა შექმნის მთლიან და უტყუარ ორგანიზაციას. ორგანიზაცია თუ მაგარი და მჭიდროა, მისი აყვავება აუცილებელია და სულ მალე მიაღწევს სასურველ მიზანს. საჭიროა დაუყოვნებლივი გამოხმაურება ყოველ კუთხიდან, მაგრამ სანამდი ეს მთლიანად მოხდებოდეს, დრო დიდი გავა და საქმის გაკეთება ცოტათი დაგვიანდება, ამიტომ საჭიროა პატივცემულმა ,,ჭიათურელმა მოკეთემ" მეორე, სიკეთე დაუმატოს. მოიხმოს სათანადო ცოდნით აღჭურვილი მოწინავე ამხანაგები ამ საქმის მოსაგვარებლად, რომელთაც პროვინციის სცენის მოყვარეთა ჯგუფებს მოწოდება უნდა დაუგზავნონ, ყოველი სოფლის კუთხეში მყოფ სცენის მოყვარეებს შეატყობინონ, რომ დანიშნულ ქალაქში გაგზავნონ თავიანთი წარმომადგენელნი. საქმეს გადადება არ უნდა, დაჩქარებას კი ინიციატორი სჭირია, რომ გარკვეული იქმნას მაზრიდან რამდენი წარმომადგენელი იქნნება საჭირო, როდის და როგორი მანდატით. შემდეგ ამისა დაარსდება ერთი კავშირი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს სახალხო თეატრს: განიხილავს და გაარკვევს სახალხო თეატრის სიავკარგეს, მისს მომავალს, დაარსებს სათანადო კურსებს, რომ სასურველ დონეზე დააყენოს თეატრის სიფაქიზე და სხ.

აი ამ შეხედულობისა ვართ ჩვენ და ძლიერ გვეჩქარება ამ საქმის მოგვარება, რადგანაც ჩვენი კუთხე ყველაზე უფრო დაშორებულია კულტურულ ცენტრს და, როგორც კულტურის მოტრფიალეს, გვსურს მალე გაიდგას ფესვი კერძოდ თეატრის და საზოგადოდ ხელოვნების აყვავების საქმეშ. ერთად ერთი ხსნა კულტურის შემოღებისა არის სახალხო თეატრი და მისი გაძლიერება. თეატრი თუ ძლიერია, მისი ნაყოფიც გემრიელი. თეატრის გაძლიერების საქმეში საჭიროა მთავრობამაც მიაქციოს ყურადღება და სათანადო ნივთიერი დახმარებაც გამოუჩინოს ამ დიად საჭირო საქმეს, რადგანაც უკულტურო, გაუნათლებელი კუთხე მტერია თეატრის—ხელოვნების და მთავრობისაც კი, ვინაიდან ცხოვრების შეუგნებლობა გზას უბნევს მას.

საჭიროა ინიციატივა და საქმიანობისკენ მოწოდება, საჭიროა სოლიდარული მუშაობა, სახალხო თეატრის ცენტრის დაარსება და მის გარშემო შემოკრება.

მაშ გაუმარჯოს თეატრს და მის აყვავებას! გაუმარჯოს თეატრის და ხელოვნებისთვის თავდადებულ მუშაკებს! გაუმარჯოს თეატრის მოყვარულთა სოლიდარობას! გაუმარჯოე თავისუფალ ხელოვნებას!

**პარმანი**

# ჩვენი მოღვაწე-მწერლები

**კრიტიკოსი ხომლელი—რომანოზ სპირიდ. ძე ფანცხავა**

(სურათი იხ 1 გვ.)

არც ერთი დარგი ჩვენის მწერლობისა ისე მიტოვებული არ არის, როგორც კრიტიკისა, მასთან—არც ერთი დარგის მოღვაწე-მწერლი ისე არ არის მივიწყებული როგორც კრიტიკოსი, რომელიც მწერლობა-ხელოვნების ერთი ნათელი სხივი და ყოველი ხელოვან-მწერლის დასაყრდნობი ყავარჯენია. მწერლობა-ხელოვნებაში სწორი გზის მაჩვენებელი—ეს კრიტიკოსია, ავისა და კარგის ამწონ-დამწონი და გეზის გამკვლევი.

აი, ერთი ასეთი დამსახურებული მოღვაწეთაგანია კრიტიკოსი ხომლელი,—რომანოზ სპირიდონის-ძე ფანცხავა. იგი ერთი იმ დროის მუშაკთაგანია, როცა ჩვენი პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებას და იდეურ-აზროვნულ მიმდინარეობას ახალი (თანამედროვე) გზების ძიება დაიწყო. ამ მხრით ღვაწლი მისი დიადია.

სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1882 წ. ქუთათურ გაზ. ,,შრომა"-ში. დასტამბა ,,ხმა თბილისიდან". ამ დროს იგი თბ. სემინარიის III კლ. იყო, ჰქონდა პატარა წრე, კითხულობდენ ცნობილი სოციალისტების (ბეხერის ფერ. ლასალის და სხ.) ნაწერებს, ამავე ხანში შაბათობით დადიოდა იმ დროის ერთად-ერთ ჩითახოვის ქარხანაში და მუშებს ათვითცნობიერებდა. ზემორე ხსენებულ წერილში ამ მუშათა ცხოვრებას შეეხო, რაიც გრ. უმწნიფარიძის(ვოლსკის) ლექსთა მოყვანა-განმარტებით ახასიათებდა. იმავე გაზეთში დაბეჭდა წერილი „სხვათა შორის" ცრუმორწმუნოების შესახებ. აგრეთვე თანამშრომლობდა ივ. მაჩაბლის „დროება"-ში. 1885 წ. გაზ. ,,ივერია"-ში ქ. ოდესიდან დაიწყო კრიტიკული წერილების წერა. მის შემდეგ კალამი ხელიდან არ გაუგდია. 1887 წ. ოდესაში დიდი არეულობის გამო, უნივერსიტეტი დაკეტეს და ხომლელს მიუსაჯეს პოლიციის საიდუმლო ზვერის ქვეშე 15 წ. ყოფნა (,,პოდნეგლასნიმ ნადზორომ"), რაიც კატორგაზე ნაკლები არ იყო. 1889 წ. ფაქტიურად ჰრედაქტორობდა (იგივე იყო კორექტორი) ქვ. გაზ. ,,თეატრი-"ს. ამ დროს მასთან ერთად მუშაობდენ: აკაკი, ვანო ჯაბადარი (ნარდონი), გ. ზდანოვიჩი, ნ. ხიზანიშვილი—ურბნელი, ნ. მარრი, ნ. ხუდადოვი, იასონ ლორთქიფანიძე, გ. წერეთელი, პ. მირიანაშვილი და სხ. 1890 წ., ,,ქართ. წიგნების მბეჭდველი ამხანაგობის" ერთი უმთავრესი დამაარსებელთაგანი იყო, 1893 წ. გ. წერეთელმა, აკაკიმ და ივ. მაჩაბელმა ქვ. ჟურნ. ,,კვალი" რომ დაარსეს, კრიტიკული განყოფილების ხელმძღვანელად მიიწვიეს, რასაც მთელი 6 წე-

# ქალები დამფუძნებელ კრებაში



**ლიზა იოსების ასული ნაკაშიძე.**

სოც.-დემოკრატი, გურიაში მომუშავე ძველი მუშაკი და სახალხო მოღვაწე. მონაწილეობდა გურიის მოძრაობაში 1905 წ. და რეაქციის დროს. ამ ჟ მად საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრია.

ლიწადი უძღვებოდა. 1898 წ. აკაკიმ მიიწვია ,,კრებულში'' კრიტიკულ განყ. ხელმძღვანელად. შემდეგში თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, 1914 წ. ქუთაისში დაიწყო ორკვირ. ჟურ. ,,ცხოვრება''ს გამოცემა, 1917 წ. ,,თავისუფლება-''ს სახელით განაგრძო მისი გამოცემა, მაგრამ ტეხნიკური დაბრკოლების გამო შეაჩერა. კრიტიკულად განიხილა: ჰაჯი მურადი, კ. მესხის ,,რუსთველი'', ,,მეორედ გაყმაწვილება'', ,,პეპო,', ,,ურიელ აკოსტა'' და სხ. პიესები; ,,ივერიაში''—,,ზოგიერთი ფიქრი''. ,,კვალში''—,,ქართული ლიტერატურის მდგომარეობა'', კრიტიკული შეფასება სილოვანის იოსებ დავითაშვილის ლექსების; აქვეა მოთავსებული მისი ვრცელი და მდიდარი კრიტიკული წერილები: ,,ქართველი გლეხის შვილი'' (აქ შეფასებულია, როგორც ბელეტრისტები ილია ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, ეკ. გაბაშვილისა, ალ. მოჩხუბარიძე, მელანია, ეგ. ნინოშვილი, შ. არაგვისპირელი, დუტუ მევრელი და სხ.); აკაკის კრებულში—,,გადაგდილის ლექსები'', მონოგრაფია გოტგოლ ლესინგი (რომლის მასალაც ნოე ჟორდანიამ გადასცა), დ. კლდიაშვილი და სხ. ,,მოამბეში'': ბეს. ბელინსკი; მასვე ეკუთვნის განხილვანი: ივ. ელიაშვილი, ვ. ბარნოვი, ცახელი ია ეკალაძე, ივ. ზურაბიშვილი, გ. წერეთელი და სხ. ,,ცხოვრება-''ში:,, ილ. ჭავჭავაძე, როგორც პოეტი-ლირიკოსი, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, არ. ჯორჯაძე, ი. გრიშაშვილი, კ. მაყაშვილი. ობოლი მუშა, დახასიათება ნ. ნიკოლაძისა და სხვ. მისი ნაწერების გამოცემა ითავა ქ. შ. წ. კ. ს. გამოვიდა ,.ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო''.

აი ასეთის შრომით ხომლელი 37 წ. ემსახურა და აწც ემსახურება საყვარელ მშობლიურ ლიტერატურას. იმედია, მადლიერი ერი მის ღვაწლს დააფასებს, მით უმეტეს, რომ იგი მოხუცებაშია და ხელის გამართვას საჭიროებს:

ი—ელი

# დახავსებულ ხაშმში

(ტრიოლეტი)

დაბინდილი ღამე. სეირნობენ ლანდები.
ხევანში ნარნარობს მზის ასული მშვენება.
მიმქრალ ტაძარს ვეწვევი საიდუმლო ხნოებით.
დაბინდილი ღამეა. სეირნობენ ლანდები.

ლურჯ კოცნათა მორევში ვიღაც დაიბლანდება.
ჩამთითვა ჩემს გულში—გაქრა მისი ხსენება.
დაბინდილი ღამეა. სეირნობენ ლანდები.
ხევანში ნარნარებს მზის ასული მშვენება.

შალვა მეფანდური




რკინის გზელთა ცენტრალურ გამგეობის სარედაქციო კოლეგია

(შარშანდელი შემადგენლობა)

I რუსულ ,,რკინისგზელის რედაქტორი ბ. ი. კოლნეევი, II კოლეგიის და კულტ.-განმ. კომისიის თავმჯდომარე ვ. მ. ბოკერია; III ქართულ ,,რკინისგზელის'' რედაქტორი ა. გ. რუხაძე.

# სახელოვან შვილებს

(ძლევად საქართველოს მხედრობას)

თქვენი ჭირიმე ბიჭებო,
ღირსეულ ერის შვილებო,
სამშობლოს მკერდზე ამაყად
ვარდივით გადაშლილებო!..
მუდამ ერთგულნო დარაჯნო
ქვიტკირნო ჩვენი ერისა...
მოყვრის კეთილად მიმღებნო
რისხვის დამცემნო მტერისა...
ყიჟინით მიხვალთ ბრძოლაში,
ხალისით გიბრწყინთ თვალები.
რა კარგი რამ ხართ, რა კარგი,
თქვენ სიყრმეს ვენაცვალები...
იკურთხოს თქვენი მარჯვენა
გაფოლად-გავაჟებული,
რომ მტერთან ყოველ ბრძოლაში
გვენახოთ გამარჯვებული!..

დ. ჭანჭათელი



**საქ. რკ. გზების მუშა-მოსამსახურეთა პროფ. კავშირის ძველი გამგეობა.**
რომლის თაოსნობითაც აშენდა კლუბი—თეატრი. 1—ე. შავგულიძე, 2—მ. გეგელია, 3—ი. ლაღიძე, 4—მ. ძამანაშვილი, 5—ე. დიდიძე, 6—ი. მეგრელიშვილი, 7—ლ. კუპრაშვილი, 8—ვ. ბოკერია, 9—პ. გძელიძე, 10—ვ. ცენტერაძე, 11—ნ. ნასიძე და 12—ნ. ბერეჟიანი.

# ელეონორა

დრამა 3 მოქმედებად.

ა. **ყაზბეგის** მოთხ. გადმოკ. **კ. გერგესელის მიერ**

**მ ო მ ქ მ ე დ ნ ი:**

1. **ვახტანგ ხელთუბნელი**
2. **ელეონორა,** ამისი ქალიშვილი
3. **ლევან კრეჭიაშვილი** აზნაური
4. **ასლან გირეი,** ლეკი
5. **ისმაილ,** ასლანის მეგობარი
6. **ზურაბ,** მთიელი

**მოქმედება პირველი**

(ვახტანგის ოჯახის ერთი ოთახი. ძველ ფეოდალურ გემოზე მოწყობილი. სამი კარი. მარჯვნივ ელეონორას ოთახი, მარცხნივ ვახტანგის. ფარდის ახდისას მოისმის ელეონორას სიცილ-კისკისი. თავის ოთახიდან გამოდის. ვახტანგ ფანჯარაში იცქირება. ცოტა ხნის შემდეგ, ცქრიალით შემოირბენს ელეონორა)

**ვახ.** ალბათ კიდევ ნახე სასაცილო რამ... მასხარად აიგდებდი ვისმეს.

**ელეონ.** (სიცილს ვერ იკავებს) არა, მამა, უცხო არავინ აი, ჩვენი კრეჭიაშვილი იყო. ბაღის ქვემოდ ფერდობზე ვიჯექი. ის მოსულიყო, როგორც სალოცავად გამზადებული ბერი, თავს დამდგომოდა და, თითქოს ხატი ვყოფილიყვე, ისე მლოცულობდა.

**ვახ.** მერე რა არის აქ სასაცილო!

**ელეონ**. შევაცქერდი, მასაც თვალები გაუშტერდა. მერე თვალს ცრემლები მოადგა, მე სიცილი ვერ შევიკავე, დაუყვირე: „წადი კრეჭიაშვილო კაკალი დამიკუხე მეთქი“. ჩემი ბძანება ბედნიერებად მიიჩნია, გაიქცა, მერე... (იცინის)

**ვახ**. მერე რა მოხდა?

**ელ.** ალბათ მეტის-მეტი აღტაცებისგან გონება აებნა, ხის გადანაჭერს ფეხი წამოჰკრა და დაღმართზე თავქვე დაეშო. (იცინის)

**ვახ.** კაცი დაიმტვრა და შენ კი იცინი, შვილო!

**ელ**. იცი, მამავ, როკა წამოდგა, სასაცილო შესახედავი იყო: გაბანჯგლული წვერ ულვაში, დიდი თავი, ელამი თვალებით გამოხედვა... ნამდვილი სასაცილო სურათი იყო... კაკალი-კი მაინც მომიტანა.

**ვახ.** ნუ დასცინებ, შვილო. ლევან კრეჭიაშვილი—ჩვენი ოჯახის დიდი ერთგულია. სხვებიც გეყოფა დასაცინად

**ელ**. მამა ჩემო, ხვალ აუცილებლივ დიდი ლხინი უნდა გავმართოთ. ჩემი სილამაზის ყველა თაყვანისმცემელი დავპატიჟოთ. მე მინდა ვიმხიარულო. როცა ისინი ერთმანეთს ეცილებიან ცეკვაში, სიმღერაში, რომ მიზანს მიაღწიონ და ჩემი გული მოიგონ, ამ დროს სიმხიარულით ცას ვეწევი.

**ვახ.** აბა, როდემდის უნდა ატარო ასე დრო. ერთხელაც იქნება ყველას გული გაუტყდება შენზე და, ვინ იცის, იქნება კარგი ბედიც დაკარგო.

**ელ**. როგორ მამავა?!.გათხოვება? არა,ეს არმითხრა.

**ვახ** მაშ რას ფიქრობ, შვილო? ყველაფერს საზღვარი აქვს.

**ელ**. არა, მამავ, მე ჯერ ვიშლები. ჩემი ყმაწვილური სიცელქე, ცოცხალი, განაზებული სიმშვენიერე და სიკეკლუცე ყმაწვილ კაცებისთვის ჯერ კიდევ დიდხანს საოცნებო და მიუწდომელი საგანი უნდა იყოს. ყველა, ვისაც სახელი, გვარი და შეძლება ხელს უწყობს, ენატრება ჩემი შეუღლება. მაგრამ ჩემი გული შემოზღუდულია ყინულით, რომელიც არც ერთი ვაჟკაცის მხურვალე სუნთქვას არ გაულხვია. მე მიხარია, როცა წარმოვიდგენ, რომ ბევრი ახალგაზდა, ჩემზე ოცნებით გაბრუებული,

ძილს ვერ მისცემია; როცა ვისმენ მათს ოხვრას, უცქერი მათს ალგზნებულ თვალებს,—ვცოცხლობ. ზოგჯერ თვალწინ ასეთი სურათი გადამეშლება: თითქოს ჩემი თვალები ხავერდათ ეჩვენებათ, ხმა კი მუსიკის ნაზ წკრიალად და როს ვაჟკაცთა ამაყი სახე, განცდის ტალღებით მიბნედილი, მტანჯველ დამატკბობელ ბადეში ეხვევა ჩემი სული კრთის და ციმციმებს და გატაცებით უყურებ, როცა მსხვერპლი მოუსვენრად თრთის და ცახცახებს. მე იმ დროს მის ტანჯვაში განუსაღვრელ სიამეს ვგრძნობ.

**ვახ.** ეს ხომ ჯალათობაა, შვილო?

**ელ.** იმ წუთს მე თავს წარმოვიდგენ ძუ ვეფხად, რომელიც თავის ტოტებში დამორჩილებულ მსხვერპლს გრძნობს, და ულონო თრთოლვას ალტაცებაში მოვყევარ. მე, მამაჩემო, თითქოს ვგრძნობ, ჩემს არ'ებაში ძლიერი ბუნება ბუდობს და ასეთივე ძლიერმა უნდა დამიმორჩილოს.

**ვახ.** სიამაყე მუდამ საჭიროა, მხოლოდ უკიდურესობამდინ გატაცება ადამიანს ხასიათის სიმტკიცეს უკარგავს.

**ელ.** (მიდის ფანჯარასთან, სიღრმეში იცქირება. სიჩუმეა)

**ვახ.** რას უცქერი, შვილო, ასე დაფიქრებული!

**ელ.** ბუნების სიმშვენიერე მიტაცებს, მამავ; ნამდვილი ედემია, და ამასთან მიუდგომელი სიმაგრეც... რა სილამაზეა, აი, იქ სახნავი ადგილები, სათიბები, გაშლილი ველი და თითქოს წარმტაცი სურათი უნდა შეიქმნესო, განგებ, ირგვლივ აკრავს სამ-მხრივ წმინდა ანკარა წყალი. აი, ტყის იქით. მთა ისე მაღლდება, ასე გგონია ერთი მეორეზე იყოს აშენებული. მერე სხვადასხვა გვარათ ჩამოქვიშრული კლდეები, რომლებიც ვერცხლის გვირგვინათ დასდგომია მთებს.

**ვახ.** ის ადგილები, შვილო, ჩვენს საზღვრებში არ შედის.

**ელ.** ვიცი, მამა, იქ ბუდობს მთის არწივი ასლან გირეი--იმის გაგონებაზე ყველა ძრწის...

**ვახ.** არა, შვილო, მარტო ჩვენი სოფელი ჩალმეთი, კრიჭაში უდგას. ჩვენი ვაჟკაცნი მის მრისხანებას არ უშინდებიან.

**ელ.** მარტო ჩვენ... საერთოდ ასლან გირეი ძლიერია. სადაც კი გაივლის—ანადგურებს, ქვას ქვაზე არ სტოვებს, სისხლის ზოლებს ავლებს.

**ვახ.** მხეცია.. მისმა გულმა სიბრალული არ იცის. დიდსა და პატარას არ ინდობს; ვენახებს და ყანებს სიბრაზით სწვავს, ანადგურებს.

**ელ.** მამა! მე მინდა ვიცოდე როგორი სახის არის ის მხეცი.

**ვახ.** ასლან გირეი ყმაწვილია, თვალ-ტანად წარმოსადეგი და შევარდენსავით მარდი. მისი ვაჟკაცობა ყველას სანაქებოთ აქვს გამხდარი. სილამაზე და მოხდენილობა კი ქალების საოხვრელად.

**ელ.** მერე ნუ თუ არ გამოჩნდა ვაჟკაცი, რო მისი საცხოვრებელი ბუდე ააწიოკოს, როგორც თვითონ აწიოკებს სხვებს! ნეტავ ვაჟკაცი ვიყო, მივიდოდი, გამოვიწვევდი ხმალში და, მწამს, დავიმორჩილებდი. მერე ყველა უშიშრად იცხოვრებდა.

**ვახ.** ძნელია, შვილო: მოხერხებულ ადგილზე ცხოვრობს.

**ელ.** ზოგჯერ მინდა, ჩავიცვა კაცის ტანისამოსი და ბრძოლად გამოვიწვიო ის.

**ვახ.** რამ დაგიბადა, შვილო, ასეთი სურვილი?

**ელ.** მე არ მინდა, მამა, ჩვენს გვერდით ვინმე ძლიერი იმყოფებოდეს.

**ვახ.** იქნებ გინდა ისიც აათამაშო.

**ელ.** მერე რა არის ისეთი? ნუ თუ ის ქართველები, რომლებიც ჩემთვის გიჟდებიან, მასზე ნაკლებნი არიან?

**ვახ.** კარგი, შვილო, უსაფუძვლო სურვილებით ნუ აირევ გონებას (იცქირება გარედ) ლევანი აჩქარებით მოდის.

**ელ.** მამა, სიცილს ვერ შევიკავებ.

**ვახ.** კ რგი, შვილო, ერთგულებას პატივს უნდა სცემდე.

**ელ.** (იხედება) მამა, აბა, გაიხედე... თითქოს ლეკები მეჩვენებიან.

**ვახ** სადა, შვილო? (იხედება)

**ელ.** აი, მიეფარენ.

**ვახ.** ლევანი გვეტყვის ყველაფერს. (შემოდის ლევანი)

**ლევ.** ბატონიშვილო ვახტანგ!

**ვახ.** რას მეტყვი, ლევან?

**ლევ.** არა-ჩვეულებრივს

**ელ.** რა არის?

**ლევ.** ასლან გირეისგან კაცები გახლავთ.

**ელ.**
**ვახ.** { ასლან გირეისგან?!

**ლევ.** თითონაც გზის გადაღმა დგას, იცდის.

**ელ.** ისიც აქ არის?

**ვახ.** რა სურს?

**ლევ.** თქვენი ნახვა.

**ვახ.** სტუმრად მოდის?

**ლევ.** მგონია.

**ვახ.** (დაფიქრდება) მე არ ვუღალატებ მთის ჩვეულებას სტუმარი ღვთისაა, პატივის ცემით მივიღებ.

**ელ.** ლევან, მისი მოსვლის მიზეზი არ იცი?

**ლევ.** არა.

**ვახ.** ასლან გირეი განთქმული ვაჟკაცია, მის სტუმრობაზე უარი არ მეთქმის... მასთან არც ბრძოლის შემრცხვება, არც მასპინძლობის. მაშ აჩქარდი, აჩქარდი და სთხოვე მობრძანდეს. (ლევანი გასვლას აპირებს) მოიცა. სიფრთხილეს თავი არ სტკივა. შეიძლება ასეთს სტუმრობაში რაიმე ბოროტება იმალება. ასლან გირეისთვის ჩხუბი მეჯლისია. მეტი არ იქნება, ხალხი მოვამზადოთ და, თუ ასლან გირეიმ სტუმრის წმინდა მოვალეობა დაარღვია, პურ-მარილს უღალატა, მაშინ თავხედ ლეკს მწარედ გადაუხდი.

**ლევ.** ყველას გავაგებინებ და, თუ რაიმე განიზრახა, ჩვეულებრივ დამარცხებული პირშავად დაბრუნდება თავის სახლში.

**ელ.** ვაჟკაცი ამას არ იკადრებს. მამა, მოუთმენლად მოველი სახელგანთქმულ სტუმარს.

**ვახ.** წადი, ლევან. მთიელი წინასწარ შიშს არ იგრძნობს. (ლევანი გადის)

**ელ.** (აღელვებით იხედება ფანჯრიდან) აი, ცხენების ფეხის ხმა ისმის. გალავანის კარებს უკვე მოადგნენ... შენ, მამა, მართალი მითხარი. ღმერთო! რა ახოვანია!. ამაყი... თითქოს მისი მგზნებარე თვალები აქამდინ აღწევს, მაგრამ არა!.. ჩვენ ამაყი უნდა ვიყვეთ. ის ჩვენი მტერია, ბევრი სისხლი მართებს ჩვენი. მხიარულად არ შევხვდები, მაგრამ მასპინძლის მოვალეობა...

**ვახ.** არა, შვილო, მტერს პურმარილის მიღების დროს საკუთარ ჭერქვეშ მტრულად არასდროს არ უნდა დაუხვდე. სისხლის აღება სუფრას არ შეშვენის.

**ელ.** მართალია, წადი, მამა, მიეგებე მასპინძლობაში დაგვძრახავს. (ვახტანგი გადის, ელეონორა მოუსვენრობას გრძნობს) მთის არწივი... რა ამ ყი გამოხედვა აქვს, მერე რა სურს ამით! (შემოდის ასლან გირეი და ვახტანგი. ასლანი მიესალმება ელეონორას. ელეონორა ამაყი სახით მოშორებით დადგება და ყოველივე მის მოქმედებას ყურადღებით ათვალიერებს)

**ასლ** მასპინძელო! ბედნიერი ვარ, რომ შენს ჭერქვეშ მეღირსა ღამის გათევა.

**ვახ.** თქვენისთანა სტუმარი სახლსაც ახარებს და მასპინძელსაც. დაბრძანდით, ნახეთ გამხიარულებული ბუხარი, რომელიც მასპინძლის გულსაც დაგანახვებს.

**ელ.** სასიამოვნოა, თქვენი მოსვლა.

**ასლ.** მნათობო!.. შენი ქება ცის კიდემდეს გავარდნილია, მართლაც ღირსი ყოფილხარ ამ ქებისა... ალალი იყოს შენზე ის ძუძუ, რომელსაც გაუზდიხარ, ალალი იყოს ის თვალი, რომელსაც შენს აკვანზე ძილი გაუტეხია, გაუმარჯოს იმ მკლავს, რომელსაც შენი რწევა არ დაზარებია! მთის ვარდო დიდხანს გიცოცხლია.

**ელ.** მე მიხარის როცა .. (ღელავს)

**ვახ.** (მიდის ელეონორასთან) შვილო! რისთვის ღელავ, სტუმარი დაგვძრახავს. (ასლანს) გულით ხარობს, რომ ჩემა სახლში სტუმარს ყველა გულით ეგებება.

**ელ.** მე მინდა, ასლან გირეი, გავიგო, ჩვენი მტრის მოსვლის მიზეზი.

**ასლ.** მე მზათა ვარ თქვენი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილო. სანადიროთ ვიყავი, გზაში დამიღამდა, მომაგონდა ვახტანგის პურ-მარილი, და მისი ქართველური სტუმართმოყვარეობა, რომელიც მტრობასაც კი ავიწყებს ადამიანს, და გადავწყვიტე ღამე თქვენს ჭერქვეშ გავათიო.

**ვახ.** გარწმუნებთ, სტუმარს კეთილად მივიღებთ.

**ასლ.** დავინახე კიდეც.

**ელ.** და მერე ვაჟკაცს სიბნელე გაშინებთ?

**ასლ.** შემრცხვებოდა,თუ ასე იქნებოდა, მაგრამ ასლან გირეი ბნელს არასდროს არ შეუშინდება. ამას მამა თქვენიც დაადასტურებს, მაგრამ დალლილობამ გამაბედვინა თქვენსკენ შემოხვევა. (შემოდის ლევანი)

**ლევ.** თუ არ შევცდი, სუფრა კაკლის ქვეშ გავშალე, ნათელი ღამეა, მგონი იქა სჯობს.

**ვახტ.** ბუნების შვილო, ბუნების კალთაში უფრო მოვილხენთ.

**ასლ.** გმადლობთ უხვი მასპინძლობისათვის, პატარა ნაწილის მიღებაც არ ძალმიძს. ტყეში ნადირის ხორცს შევექეცით, ღვინოც დავლიეთ. ეხლა მხოლოდ მოსვენებასა გთხოვთ.

**ვახტ.** ჩემს ჭერიდან უპურმარილოთ არავინ წასულა, მაგიდას მაინც მოუსხდეთ. ღამე დიდია, მოსვენებასაც მოესწრებით. წავიდეთ. (გადიან, ელეონორას გარდა).

**ელ.** მე არ წავალ. (დაბნევით) ის ჩვენი მტერია. . რა უყოთ, რომ ვაჟკაცია და ლამაზი. ჩვენი შური გულში აქვს. (შემოდის ლევან,

**ლევ.** მშვენიერო, ელეონორა მამათქვენი გეძახით.

**ელ.** არ მსურს... წადი!

**ლევ.** სტუმარი სხვა გვარათ გაიგებს (მიაჩერდება გატაცებით ელეონორას)

**ელ.** როგორ გაშტერებული მიცქერი?

**ლევ.** ამაში ბედნიერებასა ვგრძნობ.

**ელ.** რა გინდა?

**ლევ.** (წყნარათ და მორიდებით) არაფერი, ძვირფასო ელეონორა. მიხარის, როცა გიცქერით. გული მიტოკავს, როცა თქვენს წინაშე ბევრი თავს იხრის; თქვენც ამაყი ხართ, ელეონორა, და იმსახურეთ ჩემი თავი. მინდა თქვენ მიბრძანოთ, და როცა ამ ბრძანებას ვასრულებ, მაშინ ბედნიერი ვარ. ბევრჯერ მასხარათაც მაგდებთ, მამცირებთ, მაგრამ არაფერი არა მწყინს თქვენგან.

**ელ.** მერე რა იქნება, რომ გეწყინოს?

**ლევ.** ელეონორა, ვერ ამჩნევთ რა ხდება თქვენს ირგვლივ. ცივი ხართ –ყინვა, და თქვენგან ბევრი გათოშილა და გაყინულა. ვინ იცის დღესაც რამდენი ლოცულობს თქვენ სახეზე. მხოლოდ ფარულად გულის სიღრმეში, დამალული იახვრით დღეებს იმწარებს. თქვენ-კი ვერ ამჩნევთ ვერავის სევდას.

**ელ.** ყველაფერს ვამჩნევ, მაგრამ მე ასე მინდა. მხოლოდ შენი ლაპარაკის კილო ვერ გამიგია. იქნებ შენც ერთი მრავალთაგანი ხარ?! ხა, ხა, ხა, ხა.

**ლევ.** სახიფათოა ელეონორა, როცა ქალი სილამაზით გაამაყდება და ამავე დროს თავის თავს კერპათ დაისახავს.

**ელ.** არ მესმის. შეწყვიტე ლაპარაკი.

**ლევ.** ისედაც ცოტას ვლაპარაკობ. წამოდით, სუფრა თქვენით გაიხარებს.

**ელ.** მერე ვის სურს ჩემი იქ ყოფნა?

**ლევ.** ყველას.

**ელ.** მე არ მსურს.

**ლევ** ასლან გირეი სტუმარია, მასპინძლობა უნდა აგრძნობინოთ.

**ელ.** იქნებ არ უნდა მე დამინახოს?

**ლევ** პირიქით, მოუთმენლად მიგელის.

**ელ.** არ მინდა. (თავის ოთახში გადის).

**ლევ** (დაფიქრებული) რა ლამაზი წუთები იყო როცა მან მიბრძანა კაკალი მომიტანეო. ყოველ კაკლის გულს საალერსო სიტყვებს ჩავჩურჩულებდი, რადგანაც მათ ელეონორას ბაგეები შეეხებოდნენ, და ეს კი საკმარისი იყო, რომ ჩემთვის კაკალი სიწმინდეთ გადაქცეულიყო... მის წინ ყველა თავს იხრის... მე ვინა ვარ? მიუწდომელია. მაგრამ დაე ჩემმა გულმა ატაროს ეს სიწმინდე ნეტარი გრძნობისა. თითქოს მწამს ასე გატაცებით ელეონორას არავინ შეიყვარებს... უბრალო აზნაური ვარ, ამასთან ულამაზო. რისთვის ჩამენერგე გულში მტანჯველო გრძნობავ!. ნუ თუ ამით უნდა მოვიწამლო, უსიტყვოთ უნდა ვეწამო მაგრამ არა! მე მწამს პირველი გრძნობა სიყვარულისა, მას გულში ხატად ჩავისვენებ, და ვით შორეულ უდაბნოში გარდახვეწილი ბერი, ჩემთვის ვილოცებ და მერე ასე წმიდად უმწიკვლოდ ვისმეს შეუძლია ილოცოს? (შემოდიან ვახტანგი და ასლან გირეი)

**ვახტ.** ლევან, რატო ელეონორა არ გამოვიდა ჩვენთან?.

**ლევ.** არ ისურვა... თავის ოთახში გავიდა.

**ვახტ.** ასლან გირეი, ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, ალბათ შეუძლოთ არის.

**ასლ.** არაფერია ... მე მხოლოდ... მოსვენებას ვიჩქარი.

**ვახტ.** აქ მოისვენებთ, ძილი ნებისა.

**ასლ.** გმადლობთ.. ლევან, დამავალეთ და ისმაილს დამიძახეთ (ვახტანგი და ლევანი გადიან. შემოდის ისმაილი).

**ისმ.** სევდა გემჩნევა ასლან.

**ასლ.** შენ ჩემი გულის მეგობარი ხარ, ისმაილ. ასლან გირეი აღარ არის ის, რაც იყო.

**ისმ.** ნუ თუ ციხეს შესავალი ვერ უპოვე. დამშვიდდი. დაჩქარებით არაფერი გაკეთებულა.

**ასლ.** ჩემთან გამოსვლაც არ ისურვა.

**ისმ.** ამაყია, მაგრამ ზოგჯერ მაგარ ფესვებიან მუხას ქარი ძირიანად მოთხრის.

**ასლან-გირ.** არა, ისმაილ. მე მინდა მისი ამაყი სული დავიმორჩილო, მინდა მან შემიყვაროს. შენ კარგათ იცი, ლეკის არც ერთი ქალი აქამდე ჩემს გულს არ იპყრობდა. მე მეგონა ლამაზი ქალები ზეციდან მამაკაცების ჯილდოთ იყო დანიშნული და ამ უკანასკნელს უფლება ეძლეოდა სურვილისამებრ ჟინის სათამაშოდ გაეხადა. როცა ნაზ ქმნილებას თვალს მოვჰკრამდი—მიუალერსებდი, მაგრამ ეს ალერსი იყო უმაღლესის, უმდაბლესისადმი, რომელსაც საბედნიეროდ უნდა მიეღო, მაგრამ ელეონორას ნახვამ ერთბაშად დამიმორჩილა, თავი მომახრევინა და მედიდურების მძებნელი—მებატონე დაბორკილებულ მონად გამხადა.

**ისმ** მაშინებ, ასლან, ნუ თუ ასეთი სუსტი სახე მოწინაღმდეგებს უნდა დაანახო, ჩვენ მხათა ვართ, თუ გაძალდა, და ვერ შეგიგნო, ძალით გავიტაცოთ... მე მუდამ ერთგულად მიგულე. მთელს სოფელს გავანადგურებთ და ელეონორას მოგგვრით.

**ასლ.** (აღტაცებული) ჩემო ისმაილ! მართალია ჩვენ ყველას დავიმორჩილებთ, ეხლა ჩემს არსებაში ურყევ ძალას ვგრძნობ, ყველაფერს შევებრძოლები...(დაფიქრდება) მაგრამ არა!.. ისმაილ, უნდა შემიგნოს ელეონორამ, მინდა თანხმობით გადავეხვიოთ ერთი მეორეს და, თუ მერე ვინმე წინ გადამეღობა, ყველას დავძლევ.

**ისმ** ეგეც სცადე.

**ასლ.** ამაღამ უნდა ვნახო. იქ არის მისი ოთახი არა.

**ისმ.** მასთან ხომ ვერ შეხვალ, მთიელი ქალის სიამაყე ასეთს საქციელს არ მოგიწონებს. შენდამი ყოველგვარი თანაგრძნობა გაუქრება.

**ასლ.** მართალია... იქ ვერ მივალ, ყველას სძინავს, არა?

**ისმ.** ვახტანგი დაწვა.

**ასლ.** ელეონორა ჯერ არ დაწვებოდა. გავიგე, რომ ასეთს მთვარიან ღამეში მან განმარტოებით იცის ყოფნა. იქნებ ეხლაც ბედმა გამიღიმოს და რომელიმე ხის ჩრდილებს ეთამაშება მისი სახე.

**ისმ.** ვნახოთ.

**ასლ.** შენ წადი, ისმაილ, ჩვენებთან, მიდი ვინ იცის, იქნებ საქმე ჩვენდა მოულოდნელად მოეწყოს. თუ განიშნო მზათ იყავით.

**ისმ.** არ აჩქარდე ასლან, მოთმინებით მოიქეც, პატარა მიზეზი საკმარისია, უბრალო მსხვერპლი გახდე. (გადიან, ცოტახნის შემდეგ შემოდის ელეონორა).

**ელ.** ნეტავი სად წავიდნენ, ყველგან სიწყნარეა. იქნებ ის წავიდა. (შემოდის ლევანი) აქ რა გინდა?

**ლევ.** არა მძინავს; ელეონორა.

**ელ.** რას უთვალთვალებ?

**ლევ** ჩვენს ჰერ ქვეშ მტერია: მეშინია არა გავნოს რა.

**ელ.** ვინ მტერი?

**ლევ.** ასლან გირეი.

**ელ.** არა, ის მტერი არ არის. ასლანის სიტყვები ისე ტკბილი და ნაზია, რომ ის ბოროტი არ იქნება. მისი თხელი ტუჩები, მგზნებარე თვალები და მღიმარე სახე ისე მომხიბვლელია, რომ ცუდს არაფერს ჩაიდენს.

**ლევ.** მშვენიერო ელეონორა, გული სწუხს, როცა თქვენი ენა მტერს ამკობს.

**ელ.** მტრობა მას სიმშვენიერეს ვერ უკარგავს. ის მომწონს როგორც ახოვანი ვაჟკაცი და ლამაზი, მაგრამ როგორც მტერს—ახლოს არ მივიკარებ. შენ კი წადი, ნუ მდარაჯობ: ელეონორას არ ეჭირვება ფარი, თვით საკმაოდ ძლიერი ვარ.

**ლევ.** ასლანი, აი იქ ხის ძირში ზის. მის გამოხედვაში რაღაც ცუდი ძრახვანი იმალება, მამა თქვენს სძინავს, ასლანი აქ მოვა და დაწვება. თქვენ დაწექით, ოთახის კარები ჩაიკეტეთ.

**ელ.** აქ უნდა დაწვეს?.

**ლევ.** დიაღ.

**ელ.** კარგი, წადი. მე გავალ აქედან. შენ არ გაბედო ჩემი თვალყურის დევნა... დაიძინე.

**ლევ.** თქვენს ბრძანებას მუდამ ვასრულებდი.

**ელ.** ეხლაც გიბრძანებ! (ლევანი გადის. ელეონორა იხედება სარკმელში) მის სახეს მთვარის შუქი აფერადებს, ვარსკვლავები ციმციმით ისრებს ესვრვიან მგზნებარე თვალებს... რა კარგი სჩანს... ოცნებაშია. (სიჩუმეა) როგორ, ელეონორა აქ!.. მას შევცქერი... დაუჯერებელია... მერე მან რომ იამაყოს! ჩემს წინაშე ისეთი ვაჟკაცნი თავს იხრიან... და მტერმა უნდა დამიმორჩილოს .. არა! წავალ, დავიძინებ. (წასვლას აპირობს) ის ადგა, აქეთ მოდის... იხრავს... ნეტავ რას ფიქრობს... უნდა წავიდე, ოთახის კარებს ჩავიკეტავ. (მიდის, გაალებს თავის ოთახის კარებს უნებულად გაჩერდება. შემოდის ასლანი, როცა დაინახავს ელეონორას, ერთი შეკრთება, ნაბიჯს წინ წარსდგამს და მიაჩერდება).

**ელ.** (ინსტიქტიურათ) ასლან გირეი!..

**ასლან:** (დაბალი ხმით) მომიტევეთ...მაპატიეთ. (ღელავს, მიიწევს ელეონორასაკენ)

**ელ.** (გამოერკვევა. მრისხანედ) არ გაბედო, უბედურო, ფეხი არ წამოდგა, ვინ მოგცა ეგ უფლება?!.

**ასლ.** სიყვარულმა.

**ელ.** წადი, ეს გამბედაობაც საკმარისია. (ასლანი ირთის. შესაბრალ სახეს მიიღებს) ვერ გაიგონე?!

(აქ ელეონორას ხმაში სიბრალული გამოეხატება. მისი კილო რაღაც მორჩილობის ხმად გადაიქცევა, და იმ დროს, როცა სიტყვებით წასვლას უბძანებს, ნაზსა და მთრთოლვარე ხმაში სხვა წადილი ისმის)

**ასლ.** (მოწყვეტილი გაექანება ელეონორასკენ და გაშმაგებით დაეწაფება ელეონორას ტუჩებს. ქალი ერთბაშათ შეკრთება: გონება დაბნეული ოთახს მიაშურებს ასლანიც არეული თან შეჰყვება, პაუზის შემდეგ ოთახიდან გამოდის ასლან, სახე ალეწილი აქვს. ტორტმანობს, ელეონორა გამოდის, სახე გაავთრებისგან აგზნებული აქვს. წყნარის შესაბრალის ხმით ასლანი მიმართავს ელეონორას) შემიბრალე!..

**ელ.** (მოუთმენლად—სიბრაზით) აჰ! გასწი თავხედო, აი კარები!

**ასლ.** ელეონორა!..

**ელ.** კმარა! გადი აქედან! (სიჩუმეა. ასლანი შეკრთება. უხილავი გრძნობით ბრძანებას დაემორჩილება, რამდენიმე ნაბიჯს უკან გადადგამს, ცალს მუხლს მოიდრეკს და ხელებს გაიშვერს ელეონორასკენ)

**ასლ.** ელეონორა! ნუ იქნები უწყალო, რა დაგიშავე?

**ელ.** შეურაცჰყე უმანკო ქალის სახელი.

**ასლ.** შენი სიყვარულით!

**ელ.** ისარგებლე ქალის სისუსტით.

**ას:** ელეონორა მიყვარხარ.

**ელ.** მით უარესი შენთვის. (ელეონორას სიტყვებში ცივი და შეუბრალებელი კილო ისმის) მე კი თავის დღეში არ მეყვარებით. (ასლანი ცახცახებს)

**ასლ.** (ადგება) მაშ ვინ გეყვარება?

**ელ.** ვინც პირველი შემხვდება, მხოლოდ შენ-კი არა

**ასლ.** მოვკლავ, დავახჩობ იმას.

**ელ.** (ამაყი ღიმილით) მაგასაც ვნახავთ. კმარა! მომშორდი.

**ასლ.** კარგი, ელეონორა, კარგი!.. გინდა ჩემი ტანჯვა და ვასრულებ შენს ბრძანებას, მაგრამ იცოდე – ისე მიყვარხარ, ისე, რომ სხვას ასე სიყვარული არ შეუძლიან.

**ელ.** (გესლიანი სიცილით) არც ვსაჭიროებ...სამაგიეროდ მე მეყვარება, დავატკბობ და სამოთხის ნეტარებას მივსცემ

**ასლ.** და მე?

**ელ.** შენ? შენ ჯოჯოხეთს, გესმის? ჯოჯოხეთს გაგრძნობინებ დაგტანჯავ და შენი მდგომარეობა მხოლოდ სიცილს მომგვრის.

**ასლ.** (მტკიცეთ) კმარა, გეყოფა!... მივდივარ, მაგრამ მაინც ჩემი იქნები ..პირველს, რომელსაც შენი ღიმილის სიტკბოება გაუვლის გულში, მასთან ერთადვე ჩემი ხანჯალიც გულში დაუტრიალდება...ვისაც შენი თვალები გალიმებას, გაელვებას დაუპირებს, იმაზე ქვეყანას ავატირებ; ვისაც ჩახვევას დაჰპირდები, მას ცივი სამარე ჩაიხვევს. გახსოვდეს ელეონორა!...ამას გეუბნება ასლანგირეი და კიდეც აღასრულებს!...მშვიდობით. (სიხწრაფით გადის. ქალი რამდენიმე ხანს გარინდებული დგას ერთ ალაგას. ბოლოს ამოისუნთქავს, წყნარად გადაისვამს შუბლზე ხელს და მიაცქერდება იმ მხარეს საითკენაც ასლანი წავიდა).

**ელ.** მაშ მემუქრები!...მაშინებ? ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს!...(მრისხანე გამომეტყველებას მიიღებს)

**ფარდა.**

(გაგრძელება იქნება შემდეგ ნომერში)

**კ. გერგესელი.**

---

**ავჭალის აუდიტორიაში** აპრ 18 დ. ჩარკვიანი რეჟისორობით წარმოდგენილ იქმნა „ცხოვრების გმირი“ კორეევისა. პეტრეს როლს ასრულებდა თვით ჩარკვიანი. მიხვრამოხვრით და გამოთქმით საუცხოვოთ დახასიათა. უკანასკნელ მოქმედებაში საუცხოვოთ დაგვიხატა სიკვდილის ჟამი, რითაც დამსწრენი აღტაცებაში მოიყვანა. სიკვდილის წინა წუთებში ის განიცდის მწუხარებას, რომელიც სუსტად ემჩნევა ავადმყოფს და რასაც მთელღონის მოკრების შემდეგ სიკვდილი მოსდევს. კვდება და თვალი სევდით სავსე რჩება. აღსანიშნავია აგრეთვე უ. ჩხეიძე, რომელმაც აგრევე ჩინებულად შეასრულა, მეტადრე მესამე მოქმედებაში საუცხოვოთ გვიჩვენა გაუბედურებული მამა მწუხარების ჟამს, როდესაც ის თავის დანაშაულობას სჩივის და თავის ბედს დასტირის. აპატოვი შეასრულა დ. ჩხეიძემ. ეტყობა ახალგაზდა სცენის მოყვარეს აქვს უნარი ხელოვნების დარგში მუშაობისა. აგრეთვე გვარიანად შეასრულეს ქ. კოჩიევისამ, ვ. გვაზავამ, მ. გომელაურმა და სხ. **ნიკოკია.**

---

**ლანჩხუთის თეატრის** ამბავი უნუგეშოა. მაშინ, როცა თეატრის რაობა ყოველგან პროგრესის გზას ადგია, აქ პირიქით. გასული წლის ძველი გამგეობის დაწყებული შესანიშნავი საქმე გარდაიცვალა და ისტორიას ჩაბარდა. შარშან არსებობდა დრ. წრე-გამგეობა, მათ ჩინებულად შესძლეს 3-4 მსახიობის მოწვევა, სეზონის გახალება. მათ დაგვიმტკიცეს, რომ შესაძლებელია ლანჩხუთში თეატრის არსებობა მუდმივი სეზონით, თუ ვიმეცადინებთ და მას მცოდნეს და გულშემატკივარ პიოს მივუჩენთ მზრუნველად, არსებულმა გამგეობამ კი მესაფლავეობა გაუწია ლანჩხუთის თეატრს: დღიდან მათი არჩევისა დაკეტეს თეატრის კარები და შიგ არავის უშვებენ, ეს იმ სახით, რომ თვით არავითარ მუშაობას არ ეწევიან წარმოდგენების მოწყობის მხრით. ლანჩხუთში არიან თეატრის ძველის-ძველი დაამარსებლები (ვ. ასკურავა, ა. ჯაყელი, კ. ებრალიძე) და ძლიერ საკვირველია მათი ასეთი სიჩუმე. დროა (დაგვიანებულიცაა), ადგილობრივმა ინტელიგენციამ, რომელსაც ესმის და სწამს ხელოვნებისა რაიმე, ამ ნაკლს ყურადღება მიაქციოს. **ხელოვანი**

---

**ქალ. ოზურგეთში აპრ.** 27 გაიხსნა ჯ.-კაცთა და გვარდიელთა უნივერსიტეტი. საზეიმო საღამოს დაესწრენ ყველა ადგ. დაწესებულებათა და კულტ.-განამანათლებელ სექციების წარმომადგენლები. ზეიმი გახსნა ჯ.-კაცთა და გვარდიელთა კულტ.-განმანათლებელი სექციის თავმჯდომარემ რ. ჩხეიძემ. მან შინაარსიანი სიტყვით მიმართა და მოუწოდა ჯ.-კაცთ და გვარდიელთ ენერგიულად მოეკიდონ სწავლა-განათლების საქმეს, რაზედაც ჩვენი სახალხო მთავრობა მილიონებს ჰხარჯავს და, რის მსგავსი მაგალითი ჯერ დედამიწის ზურგზე არც ერთს სახელმწიფოში არ არსებობს. შემდეგ სიტყვები ეძლევა სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებს, რომლებსაც მსმენელნი ტაშის ცემით აჯილდოვებენ. თვითეული ორატორის სიტყვის გათავებისას უკრავდა მუსიკა ადგ. ვაჟთა გიმნაზიისა. სიტყვებისა და მილოცვების შემდეგ სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს 4 მოქ. დრამა ბელოისა „უმუშევარნი“. წარმოდგენამ ვერ დასტოვა მაყურებლებზე კარგი შთაბეჭდილება, რადგან სც. მოყვარეებს როლების მოუმზადებლობა ეტყობოდა. **გიორგი ლ.**

---

**ქ. სამტრედიის** მაცხოვარ II-ის უბანში ძველი რეჟიმის დროს ყოფილი დაბალი სასწავლებელი შემდეგში შეუერთდა სხვა სასავლებლებს. აქ დარჩა პატარა შენობა, სადაც იმართებოდა ს. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციის კრებები და პოსდიოდათ ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ გაზეთების შესანახავი ადგილი არ იყო: არც შკაფი, არც მაგიდა, არც სკამი. კრებამ ამოირჩია კომისია, რომელმაც თავს

იდვა ამ პატარა შენობის სახალხო სახლად გადაქცევა. ამ მიზნით გამართა წარმოდგენა ქ. სამტრედიის სახალხო კლუბში, რამაც დატოვა თვალსაჩინო თანხა. ამ თანხით კომისია შეუდგა დასახული მიზნის განხორციელებას: შეიძინა სკამები, მაგიდა, შკაფი (შემოსწირა აპოლონ პაპავამ). დეკორაცია და ფარდა (შემოსწირა ი. თერზოპულომ). ამნაირად მოეწყო პატარა სახალხო სახლი, სადაც შეიძლება გაიმართოს ლექციები, ლიტერატურული საღამოები, დაიდგას პატარა პიესები და სხ. ეს სახალხო სახლი გაიხსნა კვირას აპრ. 25 მოწვეული იყვნენ ქ. სამტრედიის სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენლები. საღამო დაიწყო ეროვნული ჰიმნით. სახალხო სახლის მნიშვნელობის შესახებ ილაპარაკეს ამხ. რ. აბულაძემ და ს. მესხმა. დაიდგა „დუქანში", კომ. 1 მოქ. რკ. გზის ს. მოწაფეებმა გამართეს სიმღერა—თამაში, რამაც ძლიერ ასიამოვნა ხალხი. უკრავდა სიმებიანი ორკესტრი.

შაბათს მაისის 1 გაიმართა საღამო შემდეგი შინაარსით: I მოხსენება პირველ მაისის მნიშვნელობის შესახებ სტუდ. იუსტინე პაპავამ, რომელმაც მოკლეთ და გარკვევით გააცნო ხალხს ისტორია პირველი მაისის დღესასწაულის წარმოშობა-მნიშვნელობისა. II წარმოადგინეს 1 მოქ. კომ „ფარნაოზის მესამე ცოლი", ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა მონაწილეობით. პიესა უნაკლოდ შეასრულეს, დასასრულ —იმერული და გურული სცენები, რამაც დიდი სიცილი გამოიწვია ხალხში.

ყოველივე ამან ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დსატოვა: ფასები სახალხო იყო 15-5 მანეთამდე.

ამნაირად ამ პატარა თეატრს შეუძლია მისცეს ხალხს სულიერი საზრდო. სასურველია ეს საზრდო არ მოაკლდებოდეს აქაურ მუშა-მშრომელ ხალხს, რომელსაც საშუალება ექნება კვირაში ერთხელ, როდესაც ისვენებს, მთელი კვირის განმავლობაში ნამუშავარი, წავიდეს იქ და დასტკბეს ხელოვნების სხვა და სხვა დარგით. ეს პატარა სახალხო სახლი დიდი სარგებლობას მოუტანს აქაურ მშრომელ ხალხს ზნეობრივი თვალსაზრისით: სულს გაუკეთილშობილებს გრძნობას განუვითარებს, ურთიერთ შორის კეთილ-განწყობილებას გაუღვიძებს. ამ სახლის ირგვლივ მოღვაწე საზოგადოებას. ვუსურვებ მათს ენერგიულ მუშაობას, რაც შეიძლება, მეტი ნაყოფი გამოიღოს და ეს პატარა სახალხო სახლი არ დარჩენილიყოს "პატარა"-დ.

**მოხუცებული ახალგაზრდა.**

---

**მუშათა ცენტრალურ კლუბში** აპრილის 8 გადაწყვეტილების თანახმად მაისის 8 გაიმართა ჟურ. „თეატრი და ცხოვრება"-ს საღამო, ლატარია—ალეგრით, მისი არსებობის ათის წლის შესრულების სახსოვრად. ყველაზე საყურადღებო ის იყო, რომ ამ საღამოს ირგვლივ თავი მოიყარეს თითქმის უმთავრესად ძველმა მუშა-მწერლებმა და სცენის მოყვარეებმა. თუმცა საძაგელი ამინდი იყო, წვიმიანი, მაინც თეატრის დარბაზი ხალხით გაივსო. უკრავდა საზანდარი და მუსიკა. I განყ. იოსებ იმედაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა „ხელოვნება და მუშა ხალხი", რასაც დამსწრენი მხურვალე ტაშით შეხვდენ. II დაიდგა მისივე პიესა „ნამუსიანი ხალხი". პიესაში მონაწილეობდენ შ. გომართელი, ა. გოგაშვილი, ი. რევაზიშვილი, რ. სალაყაია, გოგაშვილისა. III განყ. საკუთარი სცენები და ლექსები წაიკითხეს: ი. რევაზოვმა (თათრული), ი გარსევანიშვილმა, კ. მინდიაშვილმა, მ. შინატეხელმა, ს. ერთაწმინდელმა, შ. მეფანდურემ, ბაყათარმა და სხ. ბოლოს გაიმართა ცეკვა—ევროპიული და ადგილობრივი. ორმა ქალმა მიიღო პრიზი. ზემოხსენებულ პირთ გარდა, საღამოს მოწყობაში მონაწილეობდენ ალ. გოჩიტაშვილი, ბექან გოცირიძე, მარ. ბერძენიშვილი, ალ. მარქაროვი. ჟ. ვარდის უბნელი, შენგელია და სხ. შემდეგ გაიმართა ვახშამი, რამაც 4 საათამდე გასტანა. ნადიმი იყო გულწრფელი და ჩვენი ახლო წარსულის(განსაკუთრებით იოსებ იმედაშვილის) ნამუშავარის დამახასიათებელი, და რედაქციას უსურვეს ჩვეულებრივის სიმხნევით მუშაკობა.

**შ—კი**

# ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**სცენის მოყვარეთა** პროფესიონალურ კავშირის დაარსება გადასწყვიტა ერთმა ჯგუფმა. მიზნის განსახორციელებლად სათანადო მუშაობა დაიწყო.

**შესდგა ამხ. „თეატრი".** ამხანაგობის მიზანია წარმოდგენების, კონცერტების, ლექციების და სხ. მართვა.

**ხელოვნების სექციის** პრეზიდიუმში აირჩიეს ივ. გომართელი—თავმჯდ., პ. საყვარელიძე—მისი ამხანაგი, ლ. ნათაძე—მდივანი.

**ნოე ჟორდანიას** თხზულებათა I ტ. დღე-ღამ იბეჭდება, საუკეთესო ქაღალდზე, იტალიანურ ახალ ყაიდაზე. წიგნებში ჩაერთვის ავტორის ბიოგრაფია, სხვადასხვა ხანის სურათები, ფაქსიმილე და სხ. I ტ. მაისის გასულს გამოვა. ხელის მოწერის მიღება კვლავ გრძელდება ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის სტამბის კანტორაში (რუსთველის პრ. № 26)

**ადიუნქტმა შ. ბერიძემ** დასწერა ახალი გამოკვლევა „მეგრული (ივერული) ენა"—შესავალი და მასალები სენაკის მაზრისა . წ. I სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა. 700—800 გვ. ფ. 300 მან. გამოვა 2—3 თვეში. II წიგ. ზუგდიდის მაზ. ეთნოგრაფია, III წიგნ. ჯვარის ტექსტები. სვანურის გავლენის საკითხის გამოკვლევა. ამ წიგნის შედგენა დაავალა რუსეთის სამეცნიერო აკიდემიამ და საქართველოს უნივერსიტეტმა.

**ახალი გამოკვლევა** „მეცხრამეტე საუკუნის ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის მიმოხილვა" დასწერა გ. ი. ჯავახიშვილმა. წიგნში ბევრი გამოუქვეყნებელი ტექსტია მოყვანილი და ჩვენს წარსულ საუკუნის მწერალ-მოღვაწეთა აზროვნებას ახალ ნათელსა ჰფენს. შეიცავს 1500 გვერდამდის. წიგნის გამოცემის უფლება შეიძინა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობამ.

**ახალგაზდა სწავლულმა** ა. შანიძემ მაისის 9 სახელმწიფო უნივერსიტეტში წარადგინა დისერტაცია „პრეფიქსები ქართულ ზმნებში". სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტმა მიანიჭა დოკტორის ხარისხი. დაწვრილებით შემდეგ.

**ქართული ენის მკვლევართა კონგრესი** ორთოგრაფიის საკითხის გადასაწყვეტად, თბილისში შეიკრიბება მაისის 24 „საქართველოს მწერალთა კავშირმა" წარმომადგენლობა მიანდო ბ. ბ. შალვა ბერიძესა და ა. ახნაზაროვს. ამავე კონგრესზე განათლების სამინისტროს მოწვევით მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ბ. ბ.

პ. მირიანაშვილი და ს. ხუნდაძე.—კრება გაგრძელდება 5—6 დღეს.

**ახალი პიესები დასწერეს**: 1) ს. ილორელმა —ა) „ობოლი“. დრ. 4 მოქ. და ბ.) „გაგრის ფრონტზე“, დრ. 4 მოქ. აპოთეოზით. უკანასკნელი პიესა მოკლე ხანში სახალხო სახლს გადაეცემა. 2) კ. რატიშვილმა— „თეთრი სიმღერა“, დრ. 1 მოქ. 3) იოსებ იმედაშვილმა —„ჩემი სჯული სიყვარულია!“, დრ. 3 მოქ. მომქმედნი პირნი: სომეხ-თათარ-ქართველნი და რუსია. ამ პიესის დაბეჭდვა განზრახულია სარეპერტუარო პიესათა კრებულ „ცხოვრების სარკე-“ში

**გამოვიდა და იყიდება** შალვა გომართლის „სამი პიესა‘‘, ფასი 20 მან. გაწერა შეიძლება ავტორისგან თბილისი, პანასევიჩის № 12

**მუშათა ცენტ. კლუბში** (პლეხანოის პრ. № 123) მაისის 21 ხაშმის თეატრის ფონდის გასაძლიერებლად გაიმართება საღამო-წარმოდგენა 3 განყ. 1) 2 მოქ. დრამა შ. დადიანისა და მ. ქორელის „საშინელი შურის ძიება ანუ შვილი თუ საყვარელი?“ 2) დივერტისმენტი ცნობილი მოხეტიალე მუსიკოსი ი. ქურხული დაუკრავს სკრიპკაზე. მ. დევაძე.—დაუკრავს თარს. აზიური ცეკვა პრიზზე. ახალგაზდა პოეტების გამოსვლა 3) ერთ მოქ კომედია „დატრიალდა ჯარა“. ბილეთები ამ თავითვე იყიდება ,,თ. და ც‘‘. რედაქციაში შ. იმედაშვილთან და აგრეთე კლუბის კასაში.

**მეექვსე რაიონის მუშათა კლუბში** ახალგაზრ. და ირ. კანდელაკის კონცერტი იმართება მაისის 18

**ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს** არსებობის ათის წლის შესრულების აღსანიშნავად ერთ ჯგუფს განუზრახავს თბილისის ერთ განაპირა უბანში მოაწყოს სახალხო სახლი. ამ სახლს დაერქმევა ,,თეატრი და ცხოვრება“. საქმეს ჰთაოსნობს ვანო გიგოშვილი. და ბესო მაისურაძე კრება გაიმართება დღეს „თ. და ც. რედაქციაში 10 ს.

**აშულ ჰაზირას** 50 წ. მოღვაწეობის აღსანიშნავად მაისის 25 მუშათა ცენტ. კლუბში იმართება საღამო, შემდეგის შინაარსით: 1, იოსებ იმედაშვილის სიტყვა „უდაბნოში მომღერალი“—ჰაზირა და მისი მოღვაწეობა, 2, „რაც გინახავს ველარ ნახავ“ 1 მოქ., 3, მომღერალაშულთა შეჯიბრება, 4, მილოცვები და ჰანგთა ბრძოლა ჰაზირას მონაწილეობით.

**დარო რჩეულოვის** პატივსაცემად (პლეხანოვის ცენ. კლუბში მაისის 18 წარმოდგენილ იქნება „ორი ობოლი“. მონაწილეობენ სცენის მოყვარენი (შ. გომართელი, ლ. ბაღაშვილი, ი. რევაზიშვილი, რ. სალაყაია, დ. მელაშვილი და სხ.

**დასი „არმაზი“** ამზადებს კ. გერგესელის დაუბეჭდავ 3 მოქ. დრამას: „პირველი გრძნობა“. დადგმული იქნება მუსულმანთა კლუბში. დღეს აქავე კლუბში დაიდ. „და-ძმა“ გუნიასი.

**ქართულ კლუბში**, კვირას, მაისის 16, დაიდგმის პირველად—ახალი პიესა ა. სანებლელისა, „ქალის ცბიერება“. დრ. 4 მოქმ. და 5 სურ. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ალ. მაისურაძის მომღერალ ქალ ვაჟთა გუნდი და აზიური ორკესტრი.

**ახალი წიგნები** მივიღეთ: 1 „თამარ ცბიერი“, ისტ. დრამ. პოემა აკაკისა, გამოცემა საქთნ.-ისტ. საზ.-ისა, ფ. 20 მ. 2. „ჩვენი მწერლობა“, შედ. ს. გორგაძის მიერ, -წ. 4-ე 334 გვ. გამოცემა თ. ა. მთავრიშვილის ამხ. ფ. 75 მან. 3. შ. ბერიძის. Лѣлемый Генiй. Жизнь и поэтическая дѣятельность Акакiя Церетели. 1840—1915—(Анаализъ автобiографическаго очерка и лирическихъ созданiй Грузинскаго писателя). გამოცემა გ. გ. ბერიძისა 49 გვ. ფასი 50 მან. 4, „საქართველოს ძველი ისტორია“, სისტემატიური კურსი საშუალო სკოლისათვის, გამოცემა 3, თ. მთავრიშვილი 152 გვ. ფორმატი, ძველი ქარტით ფ. 60 მან.; 5, „სურათები თხზულებისათვის“, ქართულ საყმაწვილო გამომცემლობა „სურათებიზღაპრები“-სა. წიგნში ორი ამბავია სურათებით: „მოისაზრეს“ და მაჩვზღარბა (?) და მაიმუნები, 7 სურათით ფ. 5 მ.

**მაისის 26 დღესასწაულის** გამო ჩვენი ჟურნალის „თეატრი და ცხოვ.“ მორიგი (19) ნომერი კვირის მაგიერ საქართველოს დამოუკიდებლობის სახსოვრად დღესასწაულის დღეს გამოვა.

**„კრონოსის სარკე“** № 3 ამ მოკლე ხანში გამოვა მონაწილეობენ: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, რაჟდ. გოგოხია, ს. ერთაწმინდელი, ტერენტი გრანელი კანნე სპერელლი, გობრონ ამორი, აკ. ბერეკაშვილი.

**„განახლებული სიცოცხლე“-ს** (რომანის) ბეჭდვა განახლდება მომავალ ნომრიდან შ. მამალაძის ნახატებით დასურათებული.

**ახალგაზრდა მგოსანმა** კოკი ებრალიძემ დასწერა ლეგენდარული პოემა „ტყის ქალი“. დაიბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

**სალიტერატურო ჟურნალ „თებერვალის“** ვაგრძელდება № 2 3-4 „მარტი-აპრილი-მაისი“ გამოვიდა და იყიდება ფ. 20 მან.

**ვისაც ჰსურ** ჟურნალის გზავნა არ შეუჩერდეს, დანაკლისი ფული გამოგზავნოს ან შემოიტანოს სტამბაში (რუსთაველის პრ. № 26.)




პირველი ხარისხოვანი რესტორანი

# შამპანი!

**ამხ—ბა ძმათა კერესელიძეების და ბაქრაძეთა**

(რუსთაველის პრ. სახლი გორელაშვილის № 16)

**ერთი საუკეთესო რესტორანთაგანი დემოკრატიის სასტუმროდ.**

საუზმე და სადილი ქართლური, იმერული, ევროპიული, აზიური მზადდება საუკეთესო მზარეულის თავდგომით, სასმელები ყოველნაირი. რესტორანში უკრავს სიმებიანი ორკესტრი.

(წლიური)

# მოწოდება.



მსახიობ შაქრო საფაროვს წლეულს შეუსრულდა 35 წ. სცენაზე მოღვაწეობისა.

ერთმა ჯგუფმა შაქრო საფაროვის პატივისმცემლებმა განიზრახეს აღნიშნონ ეს დღე და გადასწყვიტეს გაუმართონ სადღესასწაულო წარმოდგენა ქართულ კლუბში. ეს დღე დანიშნულია კვირას, 23 მაისს. გაუწყებთ რა ამას, გამგე კომისია გთხოვთ შეატყობინობთ მას რა სახით ინებებთ მონაწილეობის მიღებას. მომწყობი კომისია გთხოვთ რაც შეიძლება ადრე აცნობოთ შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი კირპიჩნი შესახვევი № 7, ნ. ნიკიტინს მომწყობი კომისიის თავმჯდომარე ქ. ყიფიანი, წევრები: ნ. ნიკიტინი მ. ლობჟანიძე, ს. წერეთელი ძალანდარაშვილი.

# რედაქციისაგან

,,თეატრი და ცხოვრება‘‘ შემდეგი ნომერი გამოვა მაისის 26 საქართველოს დამოუკიდებლობის ორი წლის შესრულების სახსოვრად. ნომერი საგანგებოდ იქნება შედგენილი, ახალი ნახატებით, ცნობილ მწერალთა ნაწერებით და კანით.

— —

ყველა დარგის ხელოვანთა და ჩვენს თანამშრომელთა ვსთხოვთ ამ დღისთვის ემზადონ და რედაქციის დროშის ირგვლივ შემოკრბენ.

— —

ვინაიდან ჟურნალის ბეჭდვა და გზავნა ბევრ ხარჯებსა გვთხოვს, ხელის მომწერთა ვსთხოვთ დანაკლისი ფულის გამოგზავნა დააჩქარონ, თუ სურთ მომავალი ნომრიდან ჟურნალის გზავნა არ შეუწყდეთ.—ფული უნდა წარმოადგინონ თბილისში, რუსთველის პრ. № 26 ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის სტამბის კანტორაში ,,თეატრი და ცხოვრებისთვის‘‘,—ფოსტით ამავე მისამართით **იოსებ იმედაშვილის სახელზე.**

# იშვიათი დღესასწაული



ჰ ა ზ ი რ ა

ორმოცდაათი (50) წელიწადია, რაც ეს მოხუცი ემსახურება საქართველოს მდაბიო ხალხის გამოფხიზლებასა და აღდგენას. ჰაზირას სიმღერები ვის არ გაუგონია ქორწილ-ლხინებსა და ყავახანებში! მისი სიმღერებია: ,,ხელი აიღე ჩვენგანა შე წყეულო მარტის თვეო‘‘, ,,აღზდევ თამარ-დედოფალო‘‘, ,,საქართველოს შვილი ხარ, შვილო, იცან შენი ქვეყანა‘‘, ,,მუშავ, მუშავ ნუ გძინავს‘‘. ,,შავი ზღვის ნაპირას ჩვენი სახლები‘‘ და სხ. მაისის 24 მისი პატივსაცემო საღამოა, იმედია საზოგადოება პატივისცემით მოეპყრობა.

უცხო
სიტყვათა ლექსიკონი
შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ; მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემა.
ფასი 150 მან.
გაწერა შეიძლება „თეატრი და ცხოვრებიდან“
10—2

რედაქტორი იოსებ იმედაშვილი
გამომცემელი ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა
სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის, რუსთაველის პრ., № 26